# ღვთისმშობელი გახდა ზეციური ბჭე, ის არის ჩვენი სულების მხსნელი...

ილია II


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეველი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბრებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 28 აგვისტო. 2019 წ. №169 (8835) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## საქართველო, ბოლო ოკუპაცია, ამით არაფერი არ დამთავრებულა!..

**კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი ბაქრაძე, ოთარ ჭილაძე... და დარწმუნდებით, რომ ამით მართლაც არაფერი არ დამთავრებულა!..**

6

## ელიზაბეტ სათერსი:

## ქართული სასამართლო არასდროს ყოფილა ბოლომდე დამოუკიდებელი

3

## მამუკა ბახტაძე: მიუღებელია განათლების ეროვნული იდეის გარშემო სპეკულაცია

**ჩვენი განათლების რეფორმა ეფუძნება ეროვნულ, კულტურულ, დემოკრატიულ ღირებულებებს და მთლიანად მორგებულია საქართველოს დღევანდელ რეალობას, ის ქვეყანაში დაამკვიდრებს უმაღლეს ეროვნულ სტანდარტს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ პედაგოგებთან შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერმა პედაგოგებს ეროვნული იდეის — განათლების მიმართ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„მთელი ჩვენი საზოგადოება თანხმდება, რომ განათლება და მეცნიერება ჩვენი ქვეყნის მომავლის ფუნდამენტია. განათლება ეს არის უმოკლესი გზა თავისუფლებისკენ, ეს არის გზა, რომელიცდაგვაძლევინებს სიღარიბეს, ოკუპაციას და ეს არის ერთადერთი გარანტი იმისა, რომ საქართველო 21-ე საუკუნეში იქნება წარმატებული ქვეყანა და საქართველო ჩადგება განვითარებული ქვეყნების რიცხვში“.**

მისი თქმით, პროგრესი და წინსვლა მხოლოდ განათლებულ, მოტივირებულ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულ მოქალაქეებს მოაქვთ.

**„კარგად მახსოვს, როდესაც ვმუშაობდით ამ რეფორმაზე, რა მასშტაბურ გამოწვევების დაძლევაზე იყო საუბარი, მაგრამ ამავე დროს, მე ღრმად მწამდა, რომ პროგრესი და წინსვლა მხოლოდ განათლებულ, მოტივირებულ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულ მოქალაქეებს მოაქვთ და ჩვენ ასე შევძლებთ ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ძლიერი ფუნდამენტის შექმნას“.**

პრემიერის თქმით, ის იმედოვნებდა, რომ კანონპროექტის განხილვისას ოპოზიციური პარტიები დადგებოდნენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა, თუმცა როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, ასე არ მოხდა.

**„მაინც ვიტოვებდი მცირე იმედს, რომ ამ კანონპროექტის განხილვისას სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები დადგებოდნენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა და მხარს დაუჭერდნენ ამ კანონპროექტს. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივმართო ყველა პოლიტიკურ ძალას — მეგობრებო, განათლება არის ეროვნული იდეა, რომელიც ყველას უნდა გვაერთიანებდეს და მიუღებელია ამ იდეის გარშემო ნებისმიერი სპეკულაცია. მიუღებელია, რომ ის გავხადოთ ნეგატიური პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

**P. S.** **2022 წელს უფროსი მასწავლებლის ხელფასი 1700 ლარს მიაღწევს, წამყვანი მასწავლებლის 2150 ლარს, მენტორი მასწავლებლების კი, 2450 ლარს.**

## „მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“,

**– ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი**

ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893-19.7 - 1930.14.4) ოდიოზური, არაერთმნიშვნელოვანი და თავისი ეპოქის კულტურაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით სწორუპოვარი პიროვნებაა. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა, იოსებ სტალინის თქმით, ჩვენი ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა, მომავალ თაობებს უამრავი უჩვეულო, მაგრამ უაღრესად პატიოსანი და გულწრფელი ლექსი გვაჩუქა. რაზეც არ უნდა დაეწერა — სიყვარულსა თუ ბურჟუაზიაზე, ყოველთვის ერთნაირი მგზნებარებით წერდა.

„ფენიქსის“ (დონის როსტოვი) გამოცემული კრებული მაიაკოვსკის გენიალურობის კვინტენსენციაა. ბევრი რამ ზოგისთვის იქნებ ჯერ კიდევ ბავშვობიდან ცნობილია, მაგრამ ბევრსაც, ალბათ, ამ კრებულიდან შეიტყობს მკითხველი, თანაც სულ ახალი კუთხით.

**30 სექტემბრის ნომრიდან ჩვენი გაზეთი მკითხველს შესთავაზებს მაიაკოვსკიზე „ფენიქსის“ მიერ გამოცემულ ამ კრებულს.**

*ქართულად გადმოაენა გყრამ ვოვიაშვილმა*

## სალომე ზურაბიშვილი: ფრანგი მეწარმეები საქართველოთი არიან დაინტერესებული

**— ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ თავის გვერდზე წერს.**

ბიზნესლიდერების ფორუმზე სიტყვით გამოსვლამდე პრეზიდენტმა ქართულ-ფრანგული სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**„საქართველო მზად არის ახალი ინვესტიციებისთვის. ფრანგი მეწარმეები, რომლებიც ქართულ ბაზარზე უკვე შემოვიდნენ, ჩვენი ქვეყნის პოტენციალს კოლეგებს აცნობენ. ფრანგი მეწარმეები დაინტერესებული არიან სატრანსპორტო და მომსახურების სფეროში ინვესტიციების განხორციელებით, დიდი ინტერესია საქართველოში ტურიზმის განვითარების, ასევე ზამთრის კურორტების და სამთო-სათხილამურო სპორტის მიმართ“,** — წერს სოციალურ ქსელში სალომე ზურაბიშვილი და ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში ციფრული აკადემიის გახსნა იგეგმება. საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილი დღესათ 28 აგვისტოს საფრანგეთში ბიზნესლიდერების ფორუმს გახსნის, რომლის ორგანიზატორია უმსხვილესი ბიზნესგაერთიანება MEDEF INTERNATIONAL.

## მამუკა ხაზარაძე: ანაკლიას აუცილებლად ავაშენებთ, თქვენთან ერთად ან თქვენს გარეშე!



**პირდაპირ გეუბნებით, ანაკლიას აუცილებლად ავაშენებთ, თქვენთან ერთად ან თქვენს გარეშე,** — ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, მისი თანაგუნდელები დღე და ღამე მუშაობენ, რათა ანაკლიის პროექტი მივიდეს გამარჯვებამდე.

**„პირველი გამარჯვება არის, რომ დავამთავროთ მოლაპარაკება იმ კორპორაციებთან, რომლებთანაც რამდენადაც ახლოს მივედით ხელის მოწერაზე, იმდენჯერ პროკურატურა შემოგვიქსიეს დაშემოგვისიეს მთელი მსოფლიოს გასაგონად, თითქოს მე და ბადრი ფულის გამთეთრებლები ვართ. არ გამოგივათ. ეს ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ ვერ გადავიხადოთ ხელფასები, ვერ დავაფინანსოთ ის კრედიტები, რომლებიც ჩვენი რისკის ქვეშ ავიღეთ, ჩვენი აქციების დაგირავების ქვეშ ავიღეთ, რომ ანაკლიის პროექტი მიგვეყვანა გამარჯვებამდე, პირდაპირ გეუბნებით, არც ეს გამოგივათ, რადგან ანაკლიას აუცილებლად ავაშენებთ, თქვენთან ერთად ან თქვენს გარეშე“,** — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

## ივანიშვილს ტელედებატებში იწვევს!

**ვთავაზობ ბიძინა ივანიშვილს, მობრძანდეს ტელევიზიაში და ღიად ვისაუბროთ ანაკლიაზე,** — ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ კულისებში მოლაპარაკების წინააღმდეგია.

**„რადგანაც ამდენი კითხვაა საზოგადოებაში ანაკლიასთან დაკავშირებით, ვთავაზობ ბიძინა ივანიშვილს, მობრძანდეს ტელევიზიაში. შეგვიძლია, ეს იყოს მაგალითად, „იმედი“, ვისაუბროთ ღიად. ვისაუბროთ ღიად, რა წინაპირობა ჰქონდა, რა მოლაპარაკებები იყო, რა საუბრები იყო, რომელიც საზოგადოებამ არ იცის. ერთხელ და სამუდამოდ ეს ქვეყანა დაადგეს გამჭვირვალობის გზას, ერთხელ და სამუდამოდ დავადგეთ პირდაპირი ურთიერთობის გზას, ჩავაბაროთ ანგარიში ადამიანებს.**

**მე ერთი წლის წინ განვაცხადე, რომ არანაირი კულისებში მოლაპარაკება. ყველას მინდა მივმართო, ბევრი ადამიანი მხვდება — მამუკა ვერ დაალაგეთ? ძმებო, არ გამოვა — დალაგებები ამ ქვეყანაში უნდა დამთავრდეს.**

**არასდროს არ დამილაგებია, არც დავალაგებ, ყველაფერი რაც დალაგდება, იქნება ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის და იმ მოქალაქეების თვალწინ, რომელსაც ეს ქვეყანა უყვარს და ჩვენი ქვეყნის აშენება უნდათ. გპირდებით, ამ რეალობას გულანთებულ ადამიანებთან ერთად შევცვლით“,** — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

## ირაკლი კაკაბაძე: ბატონი უდესიანის იარაღის უკანონო გადაყიდვებთან დაკავშირებით ჩემ მიერ გამოქვეყნებულ პოსტებს მოჰყვა მუქარები...

მწერალი და უფლებადამცველი **ირაკლი კაკაბაძე** „ფეისბუქის“ პირად გვერდზე პოსტს აქვეყნებს:

**„ბატონი უდესიანის იარაღის უკანონო გადაყიდვებთან დაკავშირებით ჩემს მიერ გამოქვეყნებულ პოსტებს მოჰყვა მუქარები — როგორც საჯაროდ, ასევე პირად ინბოქსში. აქვე გთავაზობთ ამ მუქარების ფოტო-ასლებს. მე რომ რუსეთის იმპერიალიზმს ვუპირისპირდებოდი, ეს ვაუბატონები ჯერ კიდევ ალბათ აკვანში იყვნენ. მაგრამ, ეს კიდევ უმნიშვნელოა. რატომ იცავენ იარაღით უკანონო ვაჭრობას ასე კბილებით ეს ადამიანები — ეს სრულებით გაუგებარია. თუკი ჩემი მონათხრობი ცილისწამებას მოიცავს — მე მზად ვარ ამაზე სასამართლოში ვაგო პასუხი — და თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ მთლიანად. ნამდვილად ვიცი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა შემოსულიყო ტერორისტული იარაღის გამოყენების ინსტრუქციები, რომლებიც საბედნიეროდ ჩვენმა პარტნიორებმა და მეგობრებმა სხვა ქვეყნებში არ დაუშვეს. ეს ინფორმაცია საჯარო გავხადე და პირდაპირაც დავასახელე ის ადამიანები, ვინც ჩაბმული იყო ჩემს და ჩემი მეგობრების მოტყუებაში. დავწერე სიმართლე, რომელიც გარკვეულწილად ჩვენებაც არის. და ამ ჩვენებას აქვს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. იმისათვის რომ არც ერთი უდანაშაულო ბავშვი არ შეეწიროს რომელიმე ავანტიურისტი პოლიტიკოსის ან ბიზნესმენის მანკიერ ინტერესებს. ისიც გარკვეულია რომ ბატონი უდესიანი ხელმძღვანელობს ამ ხაზს პარიზიდან, რადგან ის ახდენდა ამ ქმედებების კოორდინირებას და მისი წარმომადგენელი მუდმივად მას უკავშირდებოდა. ისიც გარკვეულია რომ ფულის დიდი რაოდენობას — 40 მილიონ ამერიკულ დოლარს მთავაზობდნენ ჩვენს მეგობრებს ამ სქემის სისრულეში მოყვანაში - რაზეც უარი მიიღეს. ახლა კი ეს მუქარები მოდის. რას ნიშნავს ეს? რატომ რჩება ყურადღების მიღმა ასეთი საჯარო მუქარები? მე მზად ვარ ვუპასუხო ყველა კითხვას და ბოლომდე პირნათელი ვიყო ჩემს ქვეყანასთან.**

**ნაცების ტროლების არ მეშინია და მათს მუქარებს დიდი ხანია შეჩვეული ვარ. მაგრამ ეს საქმე ქვეყნისათვის არის საშიში. და ეს არის მთელი უბედურება.**

**არა ძალადობას! არა ძალადობას საქართველოში! არა ძალადობას მთელს მსოფლიოში! გამოცხადდეს საქართველო არაძალადობრივ ქვეყნად!“,** — წერს კაკაბაძე.

## საქართველოს პენცენტრის განცხადებას ავრცელებს

საქართველოს პენცენტრი შემდეგი სახის განცხადებას ავრცელებს: **„საქართველოს პენცენტრის წევრზე, მწერალ ირაკლი კაკაბაძეზე ინტერნეტით განხორციელდა ფიზიკური ძალადობის შემცველი მუქარა ფარნაოზ ჭკადუას და მისი თანამზრახველების მხრიდან, რაც უკავშირდება ი. კაკაბაძის პროფესიულ საქმიანობას. ამ ინციდენტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს საქართველოს პროკურატურა. საქართველოს პენცენტრი სასტიკად გმობს ირაკლი კაკაბაძის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ მუქარას და იმედოვნებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ჯეროვნად გამოიძიებენ ინციდენტს, რასაც მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## ირაკლი იმნაიშვილი: მაქვს ამბიცია, რომ „რუსთავი-2“ გახდეს გამარჯვებული ჟურნალისტების ტელევიზია

**მაქვს ამბიცია, რომ „რუსთავი-2“ გახდეს გამარჯვებული ჟურნალისტების და გამარჯვებული თანამშრომლების ტელევიზია, — ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა და საინფორმაციო სამსახურის ახალმა უფროსმა ირაკლი იმნაიშვილმა.**

როგორც იმნაიშვილმა აღნიშნა, „უპირველეს ყოვლისა, ამ გუნდმა გამარჯვება ცენზურაზე უნდა მოიპოვოს განურჩევლად იმისა, ეს არის ოპოზიციური გუნდიდან, ყოფილი რეჟიმიდან, თუ მმართველი პარტიის მხრიდან წამოსული ცენზურა“.

**„მე 14 წლის წინ მომიწია საქართველოს დატოვება ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის გამო ოჯახთან ერთად. ჩემთვის გასაგებია, რამდენად მძიმეა ჟურნალისტისთვის წავიდეს იმ ტელეკომპანიიდან, რომელიც მისთვის არ არის მხოლოდ სამსახური და ეს არის ოჯახი. ეს არის ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. გამიმართლა, რომ 14 წლის განმავლობაში და დღესაც ვმუშაობ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ და გავლენიან მედიასაშუალებაზე და ამ 14 წლის მანძილზე ყოველთვის მინდოდა საქართველოში ჩამომეტანა, როგორც საოპერაციო და ჟურნალისტური სტანდარტი, ასევე, უპრეცედენტო გარანტია სარედაქციო დამოუკიდებლობის, რომელიც დასავლურ მედიაში არსებობს“,** — განაცხადა იმნაიშვილმა.

პაატა სალიას ბრიფინგი

მისივე თქმით, მთავარი ამოცანა არის, რომ შეიქმნას სარედაქციო ჩარჩო-ხელშეკრულება, იყოს გაწერილი რეგლამენტი, რომელსაც იურიდიული ძალა ექნება.

**„ეს იქნება კონტრაქტი არხის მფლობელებსა და საინფორმაციო სამსახურს შორის. ეს კონტრაქტი მისცემს აქ მომუშავე ჟურნალისტებს საშუალებას, დაიცვან თავისი თავი და სარედაქციო დამოუკიდებლობა. ძალიან გულუბრყვილობა იქნება იმის აღქმა, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა იქნება ერთჯერადი პროცესი, სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა ეს არის ყოველდღიური პროცესი. „რუსთავი-2“ იყო გამარჯვებული ხალხის ტელევიზია, მაგრამ გამარჯვებიდან ძალიან მალე, ხალხსაც და მფლობელებსაც ეს ტელევიზია ძალიან მალე წაართვეს. თუ ჩვენი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, მე მაქვს ამბიცია „რუსთავი-2“ გახდეს გამარჯვებული ჟურნალისტების და გამარჯვებული თანამშრომლების ტელევიზია. გამარჯვება უპირველეს ყოვლისა ამ გუნდმა ცენზურაზე უნდა მოიპოვოს განურჩევლად იმისა, ეს არის ოპოზიციური გუნდიდან, ყოფილი რეჟიმიდან, თუ მმართველი პარტიის მხრიდან წამოსული ცენზურა. ეს იქნება ყველაზე დიდი გამოწვევა“,** — განაცხადა იმნაიშვილმა.

**ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კოდექსში ცვლილებები დააანონსა. ამას კი წინ უძღოდა 20 ივნისის მოვლენები, ანტისაოკუპაციო პროტესტი, აქციის დარბევა და გადატრიალების ბრალდებით გამოძიების დაწყება.**

**როგორ მუშაობს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება; რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო; სად არის ახლა საქართველო დემოკრატიის განვითარების გზაზე? ამ თემებზე „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტს „დემოკრატიის განვითარების ფონდის“ (NED), ევრაზიის პროგრამის უფროსი ოფიცერი ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗ ᲡᲐᲗᲔᲠᲡᲘ ესაუბრა.**

## ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗ ᲡᲐᲗᲔᲠᲡᲘ:

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ

**— 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ მოდის საქართველოში, ხელისუფლებამ დააანონსა ცვლილებები, როგორიცაა 0%-იანი ბარიერი პარლამენტში მოსახვედრად, ნაკლები ხელმოწერები საარჩევნო რეგისტრაციისთვის და ა.შ რას ფიქრობთ ამ ცვლილებებზე?**

— 2020 წლის არჩევნები, ნამდვილად, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის. მთავარი პოლიტიკური პარტიები მხარდაჭერას კარგავენ და, სავარაუდოდ, ვერცერთი მათგანი შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას პარლამენტში. ეს არჩევნები მწვავე შეჯიბრების ფონზე ჩატარდება და სწორედ ის გადაწყვეტს საქართველოს დემოკრატიის კურსსაც, გარკვეული დროით. ამის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია, რომ საარჩევნო კოდექსით უზრუნველყოფილი იყოს ღია, დემოკრატიული პროცესი, გამჭვირვალე პარტიული დაფინანსებით, თანაბარი წვდომით მედიაზე. ასევე, უნდა არსებობდეს მიუკერძოებელი და ყველა დონეზე პროფესიონალი საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს დაკვირვებას და ძლიერ რეაგირებას საარჩევნო დარღვევებზე.

ამჟამინდელი ქართული საარჩევნო კოდექსი ისეა მოწყობილი, რომ ძლიერ პარტიას შეუძლია დომინირებდეს პარლამენტში, არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მიღების გარეშე. სწორედ ასე მოხდა 2016 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ 150-დან 115 ადგილი მიიღო პარლამენტში ამომრჩეველთა ხმებში 48.77%-ით.

უმრავლესობის გაუქმება პოზიტიური გადაწყვეტილებაა და ის ასევე აძლევს შანსს ახალ პარტიებს, რომ მოიპოვონ ადგილები პარლამენტში. თუმცა, 0%-იანი ბარიერი ასევე აძლევს მეტ რადიკალურად განწყობილ პარტიას საშუალებას, რომ პარლამენტში მოხვდეს და რა ტიპის სამთავრობო კოალიციაც არ უნდა შეიქმნას, მას ზეწოლის ბერკეტი აღარ ექნება. რა თქმა უნდა, ჯერ რთულია საარჩევნო კოდექსზე დამაჯერებლად საუბარი, ვიდრე მისი სრულად ფორმირება არ მოხდება საბოლოო სახით. თუმცა, ჩემი ზოგიერთი კოლეგა, რომელიც ამ რეფორმების პროცესშია ჩართული, ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შეთავაზებებს სერიოზულად არ იღებენ და რომ შემოთავაზებული კანონმდებლობა შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთ ისეთ პუნქტს, რაც შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

ეს მიმდინარე პროცესია და მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარემ გამოიჩინოს კეთილი ნება და შექმნას ისეთი საარჩევნო კოდექსი, რომელიც საშუალებას მისცემს ქართველ ხალხს გამოხატოს თავისი არჩევანი.

**— საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ანტი-საოკუპაციო მოძრაობის აქციაზე გამომსვლელთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. ეს მოთხოვნა შესრულებულია, თუმცა აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. რასაც მივყავარ სასამართლო ხელისუფლებისა და პოლიციის ინსტიტუტების შესახებ შეკითხვამდე. როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ეს ინსტიტუტები?**

— რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე პოტენციურად პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდება ირაკლი ოქრუაშვილის, ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძისა და ნიკა გვარამიას წინააღმდეგ, რაც შემაშფოთებელი ტენდენციაა.

ქართული სასამართლო ხელისუფლება არასდროს ყოფილა ბოლომდე დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. პოლიტიკური საქმეების გადაწყვეტილებებში, სასამართლო, თითქმის, ყოველთვის, მთავრობის მხარეს იჭერს. რეფორმების რამდენიმე ტალღამ პროგრესი გვაჩვენა ამ მხრივ, თუმცა ეს მხოლოდ ტექნიკური გამოსავალია და არა ფუნდამენტური ცვლილებები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, რამდენიმე მოსამართლე, რომლებიც ხელისუფლებისთვის სასარგებლო განაჩენის გამოტანაში იყვნენ შემჩნეულნი, ახლა უვადოდ დაინიშნებიან თანამდებობაზე. ეს კი მაფიქრებინებს, რომ პრობლემა უახლოეს პერიოდში არ მოგვარდება.

პოლიციას, უსაფრთხოების სამსახურსა და პროკურატურას, თითქმის იგივე ტიპის პრობლემები აქვს. ისინი ყველანი კარგად და პროფესიონალურად მუშაობენ, სანამ საქმე პოლიტიკურ იმპერატივს ეხება. ამის უგულებელყოფა ყოველთვის არ შეიძლება. მაგალითად მაშინ, როცა პოლიცია მართლაც პასუხისმგებლობით იქცევა დემონსტრანტების დაცვის საქმეში.ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ მეტი პროგრესია საჭირო.

**— საქართველო ცდილობს განაგრძოს სვლა დასავლეთისკენ, თუმცა, რუსეთი არ ჩანს კმაყოფილი ამით. ფიქრობთ თუ არა, რომ რუსეთისგან მოდის საფრთხე, რომელიც საქართველოს დემოკრატიას ემუქრება?**

— რა თქმა უნდა, საფრთხე რუსეთისგან საქართველოს დემოკრატიისთვის არსებობს. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%.

საქართველოს ჩრდილოელ მეზობელს თავისი გეგმა აქვს, სადაც საქართველოს ხედავს, როგორც თავისი გავლენების სფეროს მქონე ქვეყანას და რა თქმა უნდა, რომ არ სურს საქართველოს დაახლოება ევროპასთან და ამერიკასთან.

რუსეთს ეკონომიკური გავლენაც აქვს საქართველოზე. ის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორია ქართული ღვინისა, თუმცა, რუსეთმა, ასევე დაამტკიცა, რომ ის არასტაბილური სავაჭრო პარტნიორია.

რუსეთისგან მომავალ საფრთხეებშია ისიც, რომ მათ შესაძლოა, კავშირი ჰქონდეთ სხვადასხვა არალიბერალურ ჯგუფებთან, ნაციონალისტებთან, ვინც პრორუსულ ნარატივს მისდევენ და ავრცელებენ, და ქაოსს იწვევენ ქვეყნაში კრემლის მიზნების სასარგებლოდ.

**— როგორ ფიქრობთ, სად არის ახლა საქართველო, როგორც ქვეყანა და რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყნის დემოკრატიული განვითარება?**

— საქართველო რჩება ყველაზე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნად რეგიონში. სამწუხაროდ, ქვეყანას უჭირს სამომავლოდ პროგრესი. ფუნდამენტურად, მათ ვერ შეძლეს პერსონალური მართვიდან იდეებით მართვაზე გადასულიყვნენ. ეს გამოწვევა თანაბრად ეხება ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც უფრო ძლიერი ლიდერის ირგვლივ იყრიან თავს და არა იმ იდეების გარშემო, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არის საუკეთესო საქართველოსთვის, ქართული სასამართლოსთვის, რომელშიც მოსამართლეები ჯერ კიდევ ვერ აღიქვამენ, რომ მათი პირველადი მოვალეობა კანონის, სამართლისა და საქართველოს კონსტიტუციის სამსახურია, ან ქართული დემოკრატიის სხვა პრობლემების მიხედვა.

ᲔᲡ ᲐᲠᲐᲐ ᲢᲠᲘᲕᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲢᲠᲔᲜᲓᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜ, ᲘᲡᲔ ᲣᲙᲐᲜ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲔᲡᲣᲑᲠᲐ
**ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ**

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ: ᲙᲐᲪᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘᲗ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲝᲡ!

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ და ჟურნალისტი **გიორგი კალანდია,** „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსად და ტელეკომპანიის აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურად, ირაკლი იმნაიშვილის წარდგენას ასე გამოეხმაურა:

**„ამ სტატუსს არ დავწერდი ზოგიერთის ავყია კომენტარი და ირაკლის დაბულინგების მცდელობა რომ არ მენახა — მიუხედავად იმისა რომ ასაკით ჩემზე გაცილებით უმცროსია, ჟურნალისტიკაში თუ რამე ვიცი ბევრი მისი დამსახურებაა, მისი სტიქიაა ცოდნის გაზიარება, თანადგომა, ძიება და აღმოჩენა! თავისი კარიერის ზენიტში იყო როცა მიუკერძოებლობის გამო ყველაფერი დათმო, სამშობლოში ყველაზე უდიერად მოექცნენ, თუმცა, არც დაცემულა და არც ჩამუხლულა, წავიდა და ბიბისი-ში დაიწყო მუშაობა! დიახ ბიბისი-ში, იქ სადაც დღემდე ჟურნალისტურ სტანდარტებს ამკვიდრებენ, იქ სადაც ყველაზე კარგად იციან მიუკერძოებლობის ფასი! იქ სადაც ჟურნალისტს მორალურად თუ მატერიალურად ყველაზე მაგრად აფასებენ, თუმცა ირაკლის ამ ფასად სამშობლო არასოდეს გაუცვლია, არასოდეს განაწყენებულა და გაბოროტებულა, ამის დასტურია მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი - უფასო ტრეინინგების კურსი C ჰეპატიტის ელიმინაციის შესახებ, ახლა ვხვდები რატომ აკეთებდა ამ საქმეს ასე შემართებით, იმიტომ რომ ყველაზე გამოხატულად და თანდაყოლილად თანაზიარობის გრძნობა გააჩნია! როგორც ჩემი მეგობარი, შეჭიდებული საქმისათვის დიდად მენანება, როგორც ჩემი ქვეყნის გულშემატკივარი მისი მობრუნებით ძალიან ბედნიერი ვარ! ბიბისი-ში მომუშავე ქართველ ჟურნალისტთაგან ირაკლისა და ნათია აბრამიას გარდა არც არავინ მეგულება ჩვენი ბედკრული ჟურნალისტიკის ისტორიაში, ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ბევრ კარგს მოიტანს, დანერგავს და გაგვიზიარებს! წარმატებები მინდა ვუსურვო ჩემი ყრმობის მეგობარს, კაცს რომელსაც ბიბლიური დავითის მსგავსად, უნარი აქვს შურდულით გოლიათი დაამარცხოს!“,** — წერს გიორგი კალანდია.

## მეტყველი სტატისტიკა

2018 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 3,666 მილიონ სტუმარს მოემსახურნენ, რაც 8.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, სტუმართა 71.3 პროცენტი უცხოელები იყვნენ, მათგან 19.7 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები (29,4 პროცენტით მეტი 2017 წელთან შედარებით). ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა უმეტესობას გერმანიისა (23.2 პროცენტი) და პოლონეთის (19.5 პროცენტი) მოქალაქეები შეადგენდნენ. სხვა ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა უდიდესი წილი კი, თურქეთისა (20.9 პროცენტი) და ისრაელის (18.8 პროცენტი) მოქალაქეებს ეკავათ.

ამასთანავე, ტურისტები სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს უმეტესად რეკრეაციისადა დასვენების მიზნით სტუმრობდნენ — 77.7 პროცენტი.

სტატისტიკის მიხედვით, ამ მიზნით ჩამოსული სტუმრების უმეტესობას რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის მოქალაქე წარმოადგენდა — შესაბამისად, 20.7 და 11.2 პროცენტი.

# კახეთიდან ტურისტები გარბიან!

## წყლის პრობლემას ხელისუფლება ისევ ვერ აგვარებს

**თეა ყარაგოზიშვილი ერთ-ერთია, რომელსაც სიღნაღში საოჯახო სასტუმრო აქვს. უკვე წლებია ამ ბიზნესშია და ეს მისი ოჯახის მთავარი შემოსავლის წყაროა. რადგან სიღნაღი ტურისტისთვის ყოველთვის სიანტერესო და მიმზიდველი ლოკაციაა, დამსვენებლებიც ხშირად სტუმრობენ.**

როგორც თავად გვიამბობს მთელ სიღნაღში საოჯახო სასტუმროების გაქირავება განსაკუთრებით პოპულარული საქმიანობაა, ამიტომ ადგილობრივებისათვის ეს ბიზნესი ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ კახეთის და, მათ შორის, სიღნაღის მთავარი პრობლემა უწყლობა პირდაპირ ურტყამს და აზარალებს კერძო ბიზნესს:

**უწყლობა** — აფრთხობს ტურისტს, ჰქმნის დისკომფორტს, მოსახლეობისთვის ზედმეტი ხარჯი და დაბრკოლებაა.

წლების წინ დაწყებული პრობლემა გაზაფხულზე იწყება და გვიან შემოდგომამდე გრძელდება. ამ პერიოდში, ანუ ტურისტულად მიმზიდველ დროს, წყალი სასტუმროებსაც და, ზოგადად, მთელ კახეთს, გრაფიკით მიეწოდება. **დილის 7 საათზე მოსული წყალი 2-3 საათში წყდება. ზუსტად ამ პერიოდში დამსვენებელმა და მოსახლეობამაც უნდა მოასწროს აბაზანის მიღება, რეზერვის დაგროვება და რაც მთავარია, ბაკების ავსება.**

როგორც საოჯახო სასტუმრო „სამი გრაციას“ დამფუძნებელი **თეა ყარაგოზიშვილი** გვიყვება, ხშირია შემთხვევა, როცა ტურისტი სიღნაღში 5 დღით ჩამოსულა დასასვენებლად, მაგრამ 2 დღეში წასულა:

**„როცა შემოსავლის ძირითადი წყარო სიღნაღელებისთვის სასტუმროებია, უდიდეს ბარიერს გვიქმნის უწყლობა და შიში იმისა, რომ ხვალ შეიძლება ტურისტი აღარ ჩამოვიდეს. მერე რა გვეშველება?! ყოველ წელს ასეა და წყლის პრობლემის მოგვარებას ყველა თვითონ ცდილობს. მე პირადად 2-ტონიანი რეზერვუარი მაქვს და დილის საათებში ვავსებ. როცა მოსახლეობა ვეკითხებით აქაურ მუნიციპალიტეტს როდის მოგვიგვარებენ პრობლემას, სულ გვპასუხობენ, რომ ახლა რაღაც გაფუჭებულია და იმას აკეთებენო.**

**ჩვენი დამსვენებელი ხშირად წუხდება და ამის გამო დაგეგმილზე უფრო ადრეც დაუტოვებია სიღნაღი. არიან ისეთებიც, ვინც ხედავს როგორ ვნერვიულობთ წყლის გამო და გვაწყნარებს ხოლმე. უფალს მადლობა, ე.წ. რევიუებში ანუ შეფასებებში ტურისტები უწყლობაზე დიდ ყურადღებას არ ამახვილებენ და დაბალ შეფასებებს არ გვიწერენ. თუმცა ასე თუ გაგრძელდა, ალბათ მერე დაბალ შეფასებებსაც დაიწყებენ და აქედან უკვე მართლა ყველა გაიქცევა“.**

უწყლობას განიცდიან ტურიტებისთვის პოპულარულ წინანდალშიც. Family House-ის დამფუძნებელი განმარტავს, რომ წყლის ბაკების გარეშე სასტუმრო ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა და ბიზნესიც ვერ იარსებებდა: **„წყალი, რა თქმა უნდა, ყველასთვის პრობლემაა. პირადად მე მაქვს ბაკები და ჩემი დამსვენებლები ამით სარგებლობენ. მართალია ისინი ვერ გრძნობენ, რა რთულია ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ხომ ვწვალობთ. წყალი დღეში 3-4 საათი მოდის და ამ დროში უნდა მოვასწროთ ყველაფერი“.**

როდის მოგვარდება წყლის პრობლემა კახეთში, ამაზე ზუსტი პასუხი არც კახეთის გუბერნატორს ირაკლი ქადაგიშვილს აქვს. მისი თქმით, უკვე მიმდინარეობს სპეციალური პროგრამის შემუშავება, რაც ეტაპობრივად პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობს. პროექტი მომავალ წელს ამუშავდება და პირველ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე სოფელში განხორციელდება.

**„ვადასტურებ, რომ წყლის საკითხი ყველაზე აქტუალურია არამარტო ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციებზე, არამედ მთელ კახეთში. ეს თემა სერიოზულ ინჟინრულ-ტექნიკურ პროცესებსა და დიდ ფინანსებს უკავშირდება, ამიტომ ასე მალე ვერ მოგვარდება. თუმცა დავიწყეთ სპეციალურ პროგრამაზე მუშაობა, რომლის ფარგლებშიც თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოიყოფა რამდენიმე სოფელი, სადაც წყალი სრულად იქნება ხელმისაწვდომი.**

**ერთიანად ვერ ვაგვარებთ პრობლემას, რადგან მაგალითად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე ბიუჯეტიდან დაახლოებით 6 მლნ. ლარია გამოყოფილი, ერთი საშუალო ზომის სოფლის წყალმომარაგებას კი 2 მლნ. ლარი სჭირდება, ანუ მთლიანი თანხის თითქმის 40 %, რაც რთული საკითხია. ვფიქრობ, ხელს შეგვიწყობს ახმეტის მუნიციპალიტეტში ილტოს წყალსაცავის მშენებლობაც, რომლის დაპროექტებაც ასევე მომავალი წლიდან იგეგმება. მოკლედ, ეს ყველაფერი დროის ამბავია და ეტაპობრივად მოგვარდება“.**

**სალომე ლემონჯავა**

# სტუმრები მხოლოდ 3-4 დღით ქირაობენ ნომრებს და მინიმალურს ხარჯავენ

**სტატისტიკურად ტურიზმი მაინც-დამაინც არ შემცირებულა, ვიზიტორებიც შემოდიან ქვეყანაში და არც მომსახურება გაიაფებულა. რეალურად კი ვითარება სხვაგვარია. ზღვისპირეთში მდებარე სასტუმროების მეპატრონეები ამბობენ, რომ ტურისტები მხოლოდ 3-4 დღით ქირაობენ ნომრებს და მინიმალური დანახარჯით ცდილობენ კურორტზე რამდენიმე დღის გატარებას.**

ეროვნული ბანკის ანალიტიკური ანგარიშის მიხედვით, 2019 წლის ივლისში საქართველოს ტურისტულმა ინდუსტრიამ 374.7 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 57.8 მლნ დოლარით, ანუ 13.3%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. 2018 წლის ივლისში ტურიზმიდან შემოსავალი 432.5 მლნ დოლარი იყო.

**ამ დროს კი ვიზიტორების რაოდენობა იზრდება. სებ-ის ანგარიშის მიხედვით, ივლისში ქვეყანაში სულ 1 127 მლნ ვიზიტორი შემოვიდა, რაც 44 ათასით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2018 წლის ივლისში ქვეყანას 1 083 მლნ საერთაშორისო მოგზაური ეწვია. გაზრდილია ტურისტების რაოდენობაც, თუ 2018 წლის ივლისში ვიზიტორებიდან 565 000 იყო ტურისტი, წელს ივლისში 570 500 ტურისტული ვიზიტი განხორციელდა.**

რაც შეეხება 2018 წლის სტატისტიკას, შარშან ქვეყანას 8 326 მლნ უცხოელი ვიზიტორი ესტუმრა, საიდანაც 4 757 მლნ იყო ტურისტი. ტურიზმიდან შემოსავალმა კი 3 222 მლრდ ლარი შეადგინა.

საინტერესოა ამ ფონზე როგორ შეიცვალა სასტუმროების ფასები. „ბიზნესპრესნიუსმა“ საქართველოს 5 რეგიონში მდებარე სასტუმროებში ერთი ღამის ფასი შეადარა.

ტურისტებისთვის ყველაზე პოპულარულ მიმართულებებს თბილისი და ბათუმი წარმოადგენს. ამას მოსდევს კახეთი, სვანეთი და იმერეთი, უფრო კონკრეტულად, ქუთაისის ტერიტორია. „ჰოტელჰაბ.ჯი“-ს ინფორმაციით, თბილისის სასტუმროებში ფასები 10-12 პროცენტით არის შემცირებული. ასევე, 10-პროცენტიანი კლება შეინიშნება ბათუმში, ხოლო კახეთში 5-პროცენტიანი. ამავე სეზონზე, სასტუმროებში ფასები 5 პროცენტით გაიზარდა ქუთაისსა და სვანეთში.

**სავარაუდოდ, შექმნილმა მოლოდინმა განაპირობა ის, რომ ტურისტებში ყველაზე პოპულარულ ქალაქებში თბილისსა და ბათუმში და ასევე, კახეთის რეგიონში, სადაც არაერთი მაღალი კლასის სასტუმრო მდებარეობს, ფასები 5-12 პროცენტით შემცირდა.**

**საქართველოში არსებულ სასტუმროებს შორის ყველაზე მაღალი მოთხოვნა 3-ვარსკვლავიან, 4-ვარსკვლავიან და 5-ვარსკვლავიან სასტუმროებზეა. ბოლო 20 000 ტურისტის ვიზიტის საფუძველზე მიღებული მონაცემების თანახმად, დასავლეთ ევროპიდან შემოსული ტურისტები უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას 4 და 5-ვარსკვლავიან სასტუმროებს, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპიდან შემოსული ნაკადი.**

შესაძლოა სტატიტიკა უფრო დადებით სურათს აჩვენებს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. რამდენიმე დღის წინ სწორედ მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეებმა საპროტესტო აქცია გამართეს ქობულეთში და ხელისუფლებას საბანკო ვალების გასტუმრებაში დახმარებისკენ მოუწოდეს, რადგან ტურისტული სეზონის ჩავარდნის გამო ვალის გადახდას ვეღარ ახერხებენ.

**ტურისტების რიცხვის შემცირების გამო, სასტუმროები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სტუმრები ჩამოდიან, მაგრამ კურორტებზე მხოლოდ მცირე ხნით — 3-4 დღით რჩებიან. ამ ფონზე აქციის მონაწილეები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ ვალების რესტრუქტურიზაციაში ან პროცენტების სუბსიდირებაში, რომლებიც მათ ტურისტული სეზონის დაწყებამდე აღებული კრედიტისთვის უნდა გადაიხადონ.**

მომიტინგეების განცხადებით, გაუქმებულია ჯავშნები. ზოგიერთი მეწარმის ზარალი ჯავშნების მოხსნის გამო 80 ათას ლარს აღწევს. საბანკო ვალის გადახდის დაწყების ვადა 20 აგვისტოა.

ქობულეთის მერის **მირიან ქათამაძის** განცხადებით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება მეწარმეების პრობლემების გადაწყვეტისთვის ერთობლივ მუშაობას უკვე შეუდგა.

**გეგა დანელია**

# ქუთაისის მუზეუმებში უცხოელ ვიზიტორთა მატებაა

Tata Kachkachishvili (RFE/RL)

**ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში აცხადებენ, რომ ძალაძის მუზეუმებს სულ უფრო მეტი უცხოელი ტურისტი სტუმრობს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი შენგელიას, ინფორმაციით, 2018 წელს ქუთაისის ეძვს მუზეუმში 10 550 უცხოელი ვიზიტორი იმყოფებოდა.**

**„2019 წლის პირველ ექვს თვეში კი მათი რაოდენობა უკვე 12 ათასზე მეტია. ქალაქის მუზეუმების დამთვალიერებელ უცხოელებს შორის პოლონელები, ბრიტანელები და რუსები სჭარბობენ“,** — აცხადებს ირაკლი შენგელია და დასძენს, რომ, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაზრდის აუცილებლობიდან გამომდინარე, ქალაქის მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას აპირებენ. ამასთან, თავად ქუთაისის მუზეუმების დიდ ნაწილს წლებია რეკონსტრუქცია არ ჩატარებია.

უცხოელ ვიზიტორთა სიმრავლე ყველაზე მეტად ქუთაისის უძველეს, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში შეიმჩნევა. 107 წლის წინათ დაარსებული მუზეუმი წლების განმავლობაში ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ამორტიზებულ შენობაში მუშაობდა. 7 წლის წინათ მუზეუმი ქუთაისის ისტორიულ უბანში, ეროვნული ბანკის ყოფილ შენობაში, გადაიტანეს. ამ შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. მუზეუმის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნონა ქარციძე ამბობს, რომ ფონდში 230 ათასი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპონატია დაცული და მათგან ყველაზე ძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნეში შექმნილი მამაკაცის ითიფალური ქანდაკებაა. მუზეუმში დაცულია მსოფლიოში ერთადერთი კოლხური დიდრაქმაც, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით თარიღდება და ამჟამად მუზეუმის ლოგოა. მუზეუმში დღეს ორი საექსპოზიციო დარბაზი ფუნქციონირებს, თუმცა ასეულობით უნიკალური ექსპონატი საცავში ინახება და მუზეუმის სტუმრებს მათი დათვალიერების შესაძლებლობა არა აქვთ. ამ დრომდე არ განხორციელებულა რამდენიმე წლის წინ შემუშავებული პროექტი, რომელიც მუზეუმის გაფართოებასა და საგამოფენო სივრცეების დამატებას გულისხმობს. როგორც ნონა ქარციძე განმარტავს, ამჟამად მიმდინარეობს საჭირო თანხის მოძიება მუზეუმის კუთვნილი 187 კვადრატული მეტრი სივრცის რეკონსტრუქციისთვის, რომელშიც მუდმივმოქმედი გამოფენა განთავსდება.

**„ამ შემთხვევაში არქეოლოგიის ფონდი მთლიანად განთავსდება ახალ სივრცეში და მოეწყობა ღია გამოფენა, ფონდი 140 000-ზე მეტ არტეფაქტს მოიცავს და ისინი არ ეტევა ამჟამად არსებულ დარბაზში ხელნაწერებთან ერთად“.**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ფუნქციონირებს და ბოლო 6 წლის განმავლობაში რესტავრაცია ეტაპობრივად ჩაუტარდა 100-მდე ექსპონატს. ნონა ქარციძის განცხადებით, მუზეუმში ყოველწლიურად 25-მდე თემატური გამოფენა იმართება, რომლებიც ხშირად მსახიობებისა და მუსიკალური ჯგუფების დახმარებით, პერფორმანსებით მიმდინარეობს. ამჟამად კი მუზეუმი ნუმიზმატურ გამოფენას ამზადებს. მალე დასრულდება მუზეუმის შიდა ეზოც, დამონტაჟდა განათებები და სცენა, სადაც ღია ცის ქვეშ მოეწყობა გამოფენები და ერთ-ერთი პირველი ევროპის მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია იქნება.

როგორც ნონა ქარციძე განმარტავს, მუზეუმი გამოფენების პარალელურად აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში.

**„კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით, მალე მუშაობას დაიწყებს ქართულ-პოლონური ექსპედიცია და ქუთაისი საინტერესო და უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის მომსწრე გახდება, რომელიც უძველესი ქალაქის ისტორიას კიდევ უფრო გაამდიდრებს“.**

ქალაქის მუზეუმების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზეა და მათი დათვალიერება 1-დან 3 ლარამდე ღირს ან უფასოა. ტუროპერატორი ლაშა ბერეკაშვილი მიიჩნევს, რომ ქუთაისის მუზეუმების ცნობადობისა და დაწესებულებებში დამთვალიერებელთა რაოდენობის გაზრდისთვის სწორი მენეჯმენტია აუცილებელი. ლაშა ბერეკაშვილის აზრით, მუზეუმებმა დამთვალიერებელს სხვადასხვა ინსტალაცია და პერფორმანსებიც უნდა შესთავაზონ, რადგან მხოლოდ სტატიკური გამოფენები ტურისტების მისაზიდად არასაკმარისია. ლაშა ბერეკაშვილი ტურისტების ინფორმირებისთვის და მომსახურების გასამარტივებლად საჭიროდ თვლის შეიქმნას მუზეუმების საერთო ბარათი:

**„საჭიროა ქალაქს ჰქონდეს ერთიანი სამუზეუმო ბარათი, რომლითაც ტურისტი მოინახულებს ყველა იმ ობიექტს, რომელიც ქალაქშია. რადგან არ არსებობს ერთიანი გადახდის სისტემა, ბევრი მუზეუმი რჩება ტურისტის გარეშე, რადგან ტუროპერატორებისთვის ოპერირება რთულია, სხვადასხვა მუზეუმთან ცალ-ცალკე უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, აწარმოო აღრიცხვა და გადარიცხო თანხა, რაც დამატებით დროს და ადამიანურ რესურსს მოითხოვს“.**

ქუთაისში ტურისტების მისაზიდად და ქალაქში რამდენიმე დღით დასაყოვნებლად ხელისუფლებას არტსივრცეების მოწყობას სთავაზობს სამოქალაქო აქტივისტი ხვიჩა დოღონაძე. მან თანამოაზრეებთან ერთად შეადგინა საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის მიმდებარედ 20 ჰექტარზე ხელოვნების პარკის პროექტი:

**„ეს არის ხელოვნების, მეცნიერებისა და ბუნების შერწყმა, სადაც განთავსდება საგანმანათლებლო საკონცერტო სივრცეები, მუზეუმების სივრცეები ბიენალესთვის და ა.შ. რადგან ტერიტორია აუთვისებელია, პირველ ეტაპზე აუცილებელია აქ კომუნიკაციების მოყვანა, საჭიროა კონსტრუქციის შექმნა, სადაც ჩატარდება აქტივობები ტურისტისთვის, რომელიც დაგეგმავს ჩამოსვლას. თუ რუკაზე ხელოვნების პარკი გაჩნდება, შესაბამისად, გაჩნდება ინტერესიც“.**

პროექტ „ქუთაისის ხელოვნების პარკის“ თანაავტორ ხვიჩა დოღონაძის განცხადებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში პარკში ჩატარდება სხვადასხვა სახელოვნებო ფესტივალი, მათ შორის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „აპერგრაუნდი“, რომელიც ახალი მიმდინარეობაა და ყველა ასაკის ტურისტს მოიზიდავს. პროექტის იდეა როლანდ შალამბერიძეს ეკუთვნის.

**თათა კაჭკაჭიშვილი**

---

# „აირჩიე საქართველო“, „აირჩიე ბათუმი“

**შიდა ტურიზმის** **სტიმულირების მიზნით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ინტერნეტკამპანია „აირჩიე ბათუმი“ წამოიწყო. კამპანიის ფარგლებში 15 ცნობილი ქართველი მსახიობი, მუსიკოსი, კომპოზიტორი, რეჟისორი, ტელეწამყვანი, ფოტოხელოვანი, მომღერალი, მწერალი, შოუმენი და მოდელი აჭარის სხვადასხვა საზღვაო კურორტთან/ტურისტულ ადგილთან დაკავშირებით თავიანთ ემოციებს იხსენებს და ადამიანებს აჭარაში დასვენებისკენ მოუწოდებს.**

ონლაინ კამპანიის მთავარია გზავნილია #აირჩიესაქართველო, რაც აჭარის ტურისტული ადგილებისა და პერსონაჟების მიხედვით იცვლება. თუკი ბათუმი დაუვიწყარი მოგონებების ადგილია რეჟისორ ლევან წულაძისთვის, ის ინსპირაციის წყაროა მწერალ დათო ტურაშვილისთვის, ხოლო მსახიობ ია სუხიტაშვილს მასთან ცხოვრების საუკეთესო წლები აკავშირებს. ბათუმთან ერთად პერსონაჟები ასევე საუბრობენ მტირალას ეროვნულ პარკზე, ქობულეთზე, კვარიათზე, მწვანე კონცხსა და ჩაქვზე.

„ძალიან ემოციური და თბილი ვიდეორგოლები გამოვიდა, სადაც ყველა პესონაჟი აჭარის კურორტებთან დაკავშირებულ პოზიტიურ ემოციებსა და მოგონებებს იხსენებს. მოგზაურობაც სწორედ დადებითი ემოციებისა და შთაბეჭდილებების მიღების საუკეთესო საშუალებაა. ამ მხრივ აჭარა კი ნამდვილად გამორჩეულია თავისი მრავალფეროვანი საზღვაო და სამთო ტურისტული პროდუქტებით,“ აცხადებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე.

- **ნიკოლოზ წულუკიძე** — #აირჩიე მტირალა;
- **ლევან წულაძე** — #აირჩიებათუმი;
- **გაგა ჩიხლაძე** — #აირჩიექობულეთი;
- **დათო ტურაშვილი** — #აირჩიებათუმი;
- **ზურაბ შევარდნაძე** — #აირჩიემწვანეკონცხი;
- **დავით ევგენიძე** — #აირჩიეკვარიათი;
- **ია სუხიტაშვილი** #აირჩიებათუმი;
- **რუსკა მაყაშვილი** #აირჩიებათუმი;
- **ნუკი კოშკელიშვილი** #აირჩიებათუმი;
- **ნიკოლოზ რაჭველი** #აირჩიეჩაქვი:

15 ვიდეორგოლიდან 10 სოციალური მედიის მომხმარებლებმა უკვე ნახა, დანარჩენი 5 ეპიზოდი სოციალურ ქსელებში კი აგვისტოს ბოლომდე ეტაპობრივად ჩაეშვება. მათ შორისაა ბათუმის დელფინარიუმის პიარმენეჯერისა და შოუს წამყვანი ბერდია კუტუბიძის, ტელეწამყვან თორნიკე კვერენჩხილაძის, მოდელ თამთა შედანიას, ფოტოხელოვანების გოგა ჩანადირისა და მარი ნაკანის მონაწილეობით შექმნილი რგოლები.

# საქართველო „სიენენის“ პლატფორმაზე

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია „სიენენზე“ (CNN) სარეკლამო კამპანიას განაგრძობს.**

ადმინისტრაციის ცნობით, შემოდგომა-ზამთრის კამპანიის ფარგლებში, „სიენენის“ პლატფორმაზე საქართველოს გვერდი — Discovery Georgia დამზადდა, სადაც საქართველოს ისტორია, ბუნება, კურორტები და კულინარია არის აღწერილი.

**„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალების ეთერით საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ საიმიჯო ვიდეო რგოლების ჩვენება მიმდინარეობს“,** — აცხადებს ტურიზმის ადმინისტრაცია და აღნიშნავს, რომ პარალელურად მზადდება სპეციალური სიუჟეტები და სტატიები საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის შესახებ.

# მამაცი ბერების სამფლობელო

**„კაცხის სვეტი — ექსტრაორდინალური ეკლესია, სადაც მამაცი ბერები ღმერთს უახლოვდებიან“** — ამ სათაურით გავლენიანი ამერიკული ტელეკომპანია „სიენენის“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემა „სიენენ თრეველი“ საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს. სტატიის ავტორი მკითხველს უყვება, რომ კაცხის სვეტი მსოფლიოს ყველაზე იზოლირებული და წმიდა ადგილია, რომელიც 40 მეტრი სიმაღლისაა. სტატიის ავტორი წერს, რომ სვეტთან მიახლოება ჯადოსნური განცდაა.

**„კაცხის კომპლექსი უნიკალურია. სვეტი ერთ-ერთი წმიდა ადგილია დედამიწაზე. ადგილობრივი ბერები პლანეტის ერთადერთი ადამიანები არიან, რომლებსაც უფლება აქვთ, 20-წუთიანი გზა გაიარონ და სვეტის წვერში მოხვდნენ“,** — წერს სტატიის ავტორი.

ავტორი ამ გზას სამოთხის კიბეს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მისი დალაშქვრის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ. სტატიის ავტორი ადგილმდებარეობის უნიკალურობაზე, მისასვლელ გზაზე და ეკლესია-მონასტრის მკაცრ წესებზე საკმაოდ დეტალურად უყვება მკითხველს.

# საქართველო, ბოლო ოკუპაცია, ამით არაფერი არ დამთავრებულა!..

**კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი ბაქრაძე, ოთარ ჭილაძე... და დარწმუნდით, რომ ამით მართლაც არაფერი არ დამთავრებულა!..**

„ადამიანის გონება ყველას და ყველაფერის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა....ერს დააბერებს მხოლოდ მონობა.... დიაღ, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, .... სწორედ იგი იწვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მანამდე, სანამ მზე ანათებს დღისით და ღამით მთვარე..

ხომ იცით მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, ხოლო თუ თავისუფალია ორასსაც გადააჭარბებს.... ქორს თავისუფლებას ჩვეულს, ატუსაღებს ვინმე, ერთს კვირასაც ვერ სძლებს მონობაში და კვდება. რამ მოკლაო რომ იკითხოთ, „გულმაო“ - გიპასუხებენ“.

**ვაჟა-ფშაველა**



„სახელმწიფოსთვის და ერისთვის არ არსებობს უმაღლესი და უდიდესი კანონი, თვინიერ თავისი ფიზიკური არსებობის დაცვისა. ადვილად იცავს და ინახავს თავის თავს ის ერი და ის სახელმწიფო, რომელიც ბუნებრივ ჩარჩოშია მოქცეული. სახელმწიფო ყოველთვის ისწრაფვის ჩაჯდეს ისეთს საზღვრებში, რომელთა დაცვა ხიფათის დროს მოითხოვს მისგან მინიმუმს მისი ძალღონისა...

საქართველო ამ მხრივ ბედნიერი არ არის, მაგრამ არც უბედურთა შორის ჩაითვლება. მას აქვს თავისი ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები. გადახედეთ საქართველოს რუკას. მისი ეკონომიკური, ტოპოგრაფიული, სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები ერთი და იგივე არიან. ბევრი სახელმწიფო ინატვრის ასეთ მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქნება წინაშე ჩვენი ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიანი ჩარჩო საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეულევიათ. და თუ ეხლანდელ თაობას არ დაჰკარგვია იდუმალი ალღო თავდაცვისა და შეგნება უდიდეს ვალდებულებისა წინაშე მომავლისა, იგი ნებაყოფლობით ვერ გადაუხვევს ათასი წლობით გაკაფულ გზას, ვერ მოიკლავს საკუთარი ხელით თავის თავს და ვერ დაიდებს ისეთსს საზღვრებს, რომელნიც ალაყაფის კარებს გაუხსნის ყველას, ვინც კი მოისურვებს ჩვენს მამულში შემოსვლას. ხოლო ყველამ იცის, რომ მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა ათასია.“

**მიხეილ ჯავახიშვილი**

* * *

„ზოგმა დამპყრობელმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი – რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ულმურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი - მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი“.

**გრიგოლ რობაქიძე**

* * *

„პოლიტიკაში არ არსებობს კეთილი და ბოროტი რუსეთი. რუსეთი ერთია და იგი, პოლიტიკური თვალსაზრისით, არასოდეს იქნება საქართველოს მეგობარი. იგი იყო, არის და დარჩება საქართველოს მტერი. ბავშვურ ილუზიებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ. პოლიტიკურ მოვლენებს რეალურად და ფხიზელი თვალით შევხედოთ. სულერთია, ვინ მართავს რუსეთს რუსი ივანე მრისხანე თუ თათარი ბორის გოდუნოვი, გერმანელი ეკატერინე მეორე თუ ქართველი სტალინი. ისინი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან...“

**აკაკი ბაქრაძე**



* * *

„ყველანაირად ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ ჩვენს სულებში საუკუნეთა მანძილზე ჩალექილი მონობის შლამი, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი სახე, ჭეშმარიტი ბუნება და აღვიდგინოთ ისტორიული მახსოვრობა. ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ან თავისუფლების შესანარჩუნებლად, ან თავისუფლების კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად ვიბრძვით, ხოლო ისტორიული მახსოვრობის გარეშე, შეიძლება, საერთოდ ავიღოთ ბრძოლაზე ხელი, რაც იგივე სიკვდილი იქნება ჩვენთვის. ჩვენ ვიდრე ვიბრძვით, იქამდე ვართ ანგარიშგასაწევი ხალხი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, სამასწლოვან ომში რომ ვართ ჩათრეულნი და აგვისტოს ომი მხოლოდ ეპიზოდია ამ ომისა... ამით არც არაფერი დაწყებულა, არც არაფერი დამთავრებულა.“

**ოთარ ჭილაძე**

**მოამზადა**

**ნინო კვაჭანტირაძემ**

# ხარფუხი

## „მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

**რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი**

**„დაჯდა მეფე გაგრატ IV საურავად. ... და აღიღო ციხე ქალაქისა... თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თვისნი“ –**

**(XI საუკუნის მემატიანე).**

**მოკლედ, ჩვენ თბილის-ქალაქს ხომ ისტორიულად თაბორის მთა ეკვრის მტკვრის მარჯვენა მხარეს, ჰოდა, ფეოდალური ხანიდან აქ თაბორის ციხე-სიმაგრე არსებობდა, რომელიც XVIII საუკუნის წყაროებში „ყორჩი-ყალად“ (თურქ. „მცველი ციხე“) იხსენიება და რომელიც, საბოლოოდ, იმ „ბოროტი და სისხლით გაფუჭებული“ საჭურისის აღა-მაჰმად ხანის შემოსევას შეეწირება „დღესა სამშაფათსა... რიცხვსა ენკენისთვესა“ (1795 წლის 11 სექტემბერი).**

თაბორის მთის კალთის ქვეშ კი, იმ ფართოდ გაშლილ ტერიტორიაზე, სადაც დღეს 300 არაგველის ობელისკი მდებარეობს, საუკუნეების განმავლობაში გადიოდა ისტორიული განჯის საქარავნო გზა. აქ, ამ უბანში XII-XIII სს. ჭარბად სახლობდნენ ხელოსნები და უბანს ძველად ძხალან-ხანაძ (სპარს. „თიხის ჭურჭლის ადგილი“) ეწოდებოდა თურმე.

XVII საუკუნეში აქ დაასახლა მაჰმადიანი სეიდელი ტომი ირანის შაჰ-სეფმა და უბანსაც სეიდაბადი დაერქვა – **„...აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს.“**

სეიდაბადი, ძირითადად, სასოფლო-სამეურნე დანიშნულების უბანი გახლდათ, რომლის ულამაზესი ბაღ-ბოსტნების მფლობელნი ქალაქის მელიქნი (მმართველი), ქართველი თავადები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მცხოვრებლები ყოფილან. თავად ბაღები კი წავკისის წყლიდან და მდ. მტკვრიდან საგანგებოდ გაყვანილი არხებით ირწყვებოდა ქალაქის მოურავის მიერ დადგენილი წესითა და განრიგით. მეტსაც გეტყვით: მოურავს **„...ბაღებმა უნდა მიართვან... მოკრეფილი ხილი... ყოვლის ბაღებიდან... სეიდაბადიდამ“** – ეს დაუწესებია ქალაქის ერთ-ერთ მოურავს სარგოს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან სეიდაბადი სახელს შეიცვლის და ხარფუხი გახდება. უბანს ხარფუხი მას მერე ეწოდა, როდესაც თაბორის მთის კალთაზე, გორხანის მხარეს (მაჰმადიანური სასაფლაო, თბილისის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია), სომეხმა მორწმუნეებმა საკულტო დანიშნულების ქვა აღმოაჩინეს და ქვაზე ხატი დააბრძანეს. ჰოდა, მიჰყავდათ და მიჰყავდათ ამ საკულტო ქვასთან სურდოშეყრილი თუ ყივანახველით დაავადებული ბავშვები სამკურნალოდ. ხარფუხი სომხურად კი ხველას და სურდოს ნიშნავს სახელიც აქედან მოდის. ამბობენ, მორწმუნეებს შესაწირად ქსოვილებისგან შეკერილი თოჯინები მიჰქონდათ მხარზე პატარა ხურჯინებით და შიგ შაქრის ნატეხებითო. წმინდა ხატის გულის მოგებას ამ შაქრის ნატეხებით ცდილობდნენო.

გუბერნატორ ხონევის წერილიდან **„...სოფელ ხარფუხში 34 კომლი სახლობს, 143 სულითა და თავშესაფარია უდოკუმენტო პირთათვის... რომლის შესახებაც პოლიციამ არაფერი იცის...“** – და სწორედ ამ წერილის საფუძველზე შეიმოუერთებს ხარფუხს ტფილისს მთავრმართებელი ალ. ერმოლოვი 1819 წელს, მაგრამ ხარფუხელებისთვის მაინც არაფერი შეიცვლება...

ხარფუხი (1899 წ.)



გორხანა (1899 წ.).

ფოტოზე კი გორხანას (სპარს. „საფლავის სახლი“) ხედავთ და აქვე ერთ ისტორიულ წყაროსაც მოვიშველიებ, რომ გიამბოთ თუ რის შემდეგ ჩნდება თაბორის მთაზე გორხანა – **„... და წავიდა აბდულა-ბეგ (ქვემო ქართლის მუსულმანი მეფის – იესეს ძე) განჯას, ხუთი ათასი კაცი წამოასხა და ყიზილ-ბაშის ჯარით მოადგა ქალაქ ტფილისს. ტფილისიდან ქვეითი ჯარი გავიდა თაბორის თავზედ (ჩვენი პატარა კახის, ჩვენი „აშვებული ლომის“ წინამძღოლობით)... და ტფილის ჯარმან გაიმარჯუა... ბზობის პარასკევ დღეს“.** ეს ამბავი 1748 წელს მოხდა. ბრძოლაში კი ბევრი მუსულმანი დაღუპულა და სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდება ჩვენ თბილის-ქალაქში მაჰმადიანთა სასაფლაო გორხანა.

XX საუკუნეში გორხანა აზერბაიჯანელ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი გახდება, სადაც დღემდე დასაფლავებულნი არიან XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწენი – „ტფილისელი ბრძენი“ პოეტი **მირზა შაფი,** ტფილისზე შეყვარებული მწერალი **მირზა ფათალი** და აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი (1918-1919 წწ.) **ფათალი ხან ხოისკი,** რომელიც ტფილისში, „ერივანსკის მოედანზე“ (დღეს თავისუფლების მოედანი), სომეხმა დაშნაკებმა ვერაგულად მოჰკლეს 45 წლის ასაკში, 1920 წლის 19 ივნისს.

თუმცა ეს სულ სხვა ისტორია გახლავთ და მოგვიანებით გიამბობთ, როცა „ერივანსკის მოედნის“ ისტორიას გაგაცნობთ.

# მადლი და წყალობა საქართველოს!..

## მამუკა ვაშაკიძე

# მარიობა

**კარი ფრთხილად შეაღო. საწოლთან ანთებული ღამის მაშუქი ოთახის ნახევარს ანათებდა. მის ირგვლივ ფარვანები მარულას უვლიდნენ. ცვილის ფერი დასდებოდა დედას. ბალიშზე ჭაღარა თმები გაშლილიყო, სახეს ძველებური სილამაზე შერჩენოდა, მაგრამ ასაკის ნიშანწყალი საბანზე უკვე სიბერისგან დამჭკნარ, მდინარის შენაკადებივით ლურჯად დატოტვილ სისხლძარღვებით დაფარულ ხელს ეტყობოდა. მძიმედ სუნთქავდა და მზერა ჭერისკენ გაეცივებინა.**

— დედა, როგორ ხარ? — მორიდებით, უფრო მეტად იმის შიშით, სუნთქავს თუ არაო, წარმოთქვა.

თავი არ შეუბრუნებია. ჭროღა თვალები შეატრიალა შვილისკენ, თითქოს ნათელმოფენილი სახის გაღიმებით გახედა.

— კარგად ვარ, შვილო... ვინაა, იგი, რო უკრავს, ნოდარიეა, ალბათ... მამამისსაც კაი ხმა ქონდა, მარა, ბაბუამისთან ვერავინ მევიდოდა სიმღერით...

— ხო, ნოდარიეა, დედა... რამე ხო არ გინდა? — იმერულად მოუქცია თვითონაც.

— არა, შვილო, ამის მეტი რა უნდა მინდოდეს, ჩემს კერაზე მარიობას აღნიშნავენ. აგი დიდი პატივისცემაა, შვილო... ჩვენი წილი ღვთიშობელი მევიდა ჩვენ კერიაზე...

— რაი ვქნა, დედა, აქანა უნდოდათ მარიობის გადახდა, ხო იცი, წესია ჩვენი და...

— მაგი მეორეჯერ არ თქვა შვილო, მარიობა ჩვენთვის ყველაზე დიდი დღესასწაულია... სერგეთის მინდორზე გროვდებოდა ხალხი... ახლა ჩვენსას, პატივი დაგვდეს და... იმის კალთას ვენაცვალე... შენ უნდა ცე, შვილო, პატივი... კაი ახლა, ხალხს მიხედე, მე რა მომკლავს...

* * *

**მარიამობას**, ჩვენს კუთხეში მარიობას ეძახიან და ყველა ქრისტიანულ დღესასწაულზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. აგვისტოში მთელი კუთხე ზეიმობდა თურმე ამ წმინდა დღესასწაულს, მერე ეკლესია-სალოცავი რომ არ შერჩა ჩვენს კოხროულს, ხალხმა სერგეთის მინდვრად მონათლულ ადგილზე დაიწყო ღვთისმშობლის სახელის ხსენების აღნიშვნა. წარმართულიც გაერია ხანდახან უაზრობამდე გადასულ ღრეობებს, ბოლოს ოჯახებში დაიწყეს ჯგუფ-ჯგუფად აღნიშვნა, მაგრამ მიზეზი და მიზანი ერთი რჩებოდა ყოველთვის — ღვთისმშობლობა.

* * *

— **როგორ** არის შენგელიხეს ქალი? — გარმონი გვერდით გადადო ნოდარია მომღერალმა.

— ვერაა კარგად, მაგრამ სიამოვნებს დღევანდელი დღის აღნიშვნა. — უპასუხა და მოქეიფეებს შეუერთდა.

— ეჰ, ჩემო, აჩიკო, შენგელიხეს ქალი რომ ჩამევიდოდა ჩვენთან, ბაღნებს თვალები გადმოცვენაზე გვქონდა. რავალი სანახავი იყო, იმიზა გეუბნები, რო დედაშენის სილამაზის ამბავი შენ რას გახსოვს ბაღნობისას...

— მაი, ბიცოლა, მე რომ მომიყვანეს რძლად აქანა, მაშინ უნდა გეკითხათ, — ჩაერია გეგუჩაძის ქვრივი. — ჩემზე ლამაზი ქალი არავინ მეგონა. დილას რო გამევიდოდი ეზოში, შუადღემდი ვხვეტდი კოინდარს, თვალს ვერ მწყვეტდა შარაზე გასული ხალხი, ქე მოგეხსენებათ, და მსიამოვნებდა კიდეც.

გეგუჩაძის ქვრივმა უკბილო, დანაოჭებულ სახეზე მზეზე გახუნებული, თითქმის თეთრად ქცეული შავი თავსაბურავი მიიფარა და მოქირქილე ხალხისთვის არც გაუხედავს, ისე განაგრძო:

— ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთ დღეს მამამთილმა, ოლიფანტე ჩამოდის თბილისიდანო, მითხრა, სახლში უნდა გარმევიპატიჟოო. ერთი სული მქონდა, მისი ცოლი მენახა. შენგელიხეს ქალის სილამაზეზე ზღაპრები დადიოდა ჩვენსას. გადევედი. საღამო ხანი იყო და... იმის მერე კოინდარი არ დამიხვეტია.

— შენ რა გითხარი, მარგალიტა, რავა შენგელიხეს ქალმა წაგართვა ცოცხი, თუ რა მოხდა? — წაიკვიმატა ნოდარიამ.

— ცოცხს ვინ შეკადრიდა, ნოდარია ლენჩო, იმასთან ისე გამოვჩნდი, როგორც ცაი და დედამიწა. მაგფერი სილამაზე არ მინახამს მიდღემჩი.

— შენგელიხეს ქალს გაუმარჯოს, ღმერთმა დიდხანს გაატანიოს, — ფეხზე წამოდგა თამადა, — ბევრს არ ვილაპარაკებ, მარა მართლა ჩვენი კუთხის სიამაყე იყო და არის, ჩემო აჩიკო, დედაშენი. გარააღწია ახლა ოთხმოცს და ცოტა ვერაა კარგად ჯანმრთელობით, მარა... იგი სიამაყე მაინც შერჩა რავარც ახალგაზრდობისას ჰქონდა. პატარა ბაღანა ვიყავი, მარა მაინც მახსოვს, ცხონებულმა ოლიფანტემ რო მეიყვანა აქანა. პირველად ჩვენს ოჯახში მევიდნენ... ხო იცი, განაყოფები ვართ და წესი იყო ამფერი. მერე წევიდნენ ქალაქში და აგერ საცხა ოცი წელია, რაც ჩამევიდა... თქმა უყვარს, შენგელიხეს ქალი ვისაც ახალგაზრდობაში არ უნახავს, მისი სიბერე ღმერთმა არ ანახოსო...

— მართალია, მართალი, იმფერი ამაყი ქალია, წელში რომ მეიხარა, გარაღმა არ გარმოსულა. — სიტყვა შეაშველეს.

* * *

**დილამდე** გაგრძელდა ლხინი. „მარიობის“ სხვანაირი აღნიშვნა იციან კოხროულში.

სამადლობელი მოიხადა გამოცარიელებული ჭიქა დადგა და დედას ახედა ოდა სახლში. ფრთხილად შეაღო კარი. ისევ ჭერს შესცქეროდა, მარცხენა ხელი ჩამოვარდნოდა საწოლიდან. ცუდად ენიშნა. სიცივე იგრძნო დედის მკლავში, საწოლზე მისი ხელის გასწორება რომ უნდოდა, მაშინ. ინსტიქტურად მკერდზე დაადო თავი. არ სუნთქავდა, გაციებული იყო. საწოლთან ჩაიმუხლა. სუნთქვა შეეგუბა და, პატარა ბავშვივით რომ არ ეღრიალა, საკუთარ მაჯას ჩააფრინდა კბილებით. დიდხანს უხდიდა დედას ბოდიშს, რომელიც დამშვიდებული სახით სადღაც უსასრულობაში იყურებოდა.

ფარვანები მარულას უვლიდნენ მბჟუტავ ნათურას. თვალები დაუხუჭა, შუბლზე წაკრული ჩითის თავსაფარი მოაძრო, სახე აუკრა, ცრემლი შეიმშრალა და ოთახიდან გავიდა.

ახლა კარლოია ლეჟავა უკრავდა თავის ოდესურ არღანზე. სურომოდებულ კოპიტთან ნოდარიას გარმონი მიეგდო და რაღაც უაზროდ როკავდა. ქალები სუფრის აშლას იწყებდნენ. მძიმედ ჩამოვიდა კიბეებზე, ძალზე გაიწელა გზა მოდღესასწაულეებამდე. მობარბაცე თამადამ ყველას სუფრასთან მოუხმო და მარიამობის მადლი უსურვილა. მასპინძელმა სადღეგრძელო შესვა და... ბიცოლას მიუბრუნდა დასიებული, ცრემლშეკავებული თვალებით.

— ბიცოლა, დედა შემიცხადე... აღარ არის შენგელიხეს ქალი...

თითქოს შეაჩერაო გუბისწყლისმხრიდან წამოსული რიჟრაჟი და ქვენა ქარი, ხუჭუას ქალის კივილმა. ცრემლი ჩამოდიოდა ულვაშებგადაპრეხილ მეარღნე კარლოიას, აკანკალებულ ხელში შევსებული სასმისი ეკავა, ფუთიანი არღანი მეორე მხარზე გადაეკიდა და ჩამოდგმაც ვერ მოეფიქრებინა. ტიროდა კოპიტის ძირში ჩამომჯდარი ნოდარია, ჭიშკართან ჩამუხლულიყო ლენჩი დათიკო და არიბორიბოებული ცისთვის აეშტერებინა დაელმებული თვალი.

„სამოთხეში მოხვდებაო შენგელიხეს სული“, — მხოლოდ ამის ჩალაპარაკება მოასწრო კლუბის გამგემ, „მარიობის“ იმდღევანდელმა თამადამ და დახრილ თავზე ჭაღარა ისე ჩამოეშალა, როგორც სპექტაკლის დამთავრების დროს ფარღალალა კლუბში ძველი ფარდა.

ახლა კი აუვარდა ღრიალი და კვლავ დედასთან მიბრუნდა.

* * *

**ჩემი** ბებია იყო ნადეჟდა შენგელიხე, შენგელიას ქალი. ექვსი წლის შემდეგ, როდესაც იმავე ოთახში, ჩვენს ოდა-სახლში, იმავე საწოლში ჩემს მკლავზე მისვენებული მამაჩემი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, მაშინ მიამბო ეს. მთელი ექვსი წელი მიმალავდა. არც არავის წამოსცდენია იმწლევანდელი მარიობის დღესასწაულის ამბავი. ახლაც ვფიქრობ, რატომ არ მითხრა. ახლაც ის დიდი ფილოსოფია მიღრღნის სულს — დედის სიკვდილი უფრო მეტი იყო თუ ღვთისმშობლის დღეობა.

იქნებ... მშობლისა და შობილის მოვალეობა შემახსენა. არადა, ჩემს თვალში ერთი-ორად ამაღლდა მამაჩემი. მას კი ეშინოდა, თუ ერიდებოდა ამის თქმა.

ნეტავ შემაძლებინა და საღვთო საქმე საეროზე წინ დამაყენებინა ყოველთვის, როგორც ეს მან შეძლო. ალბათ, მოვა დრო და ჩემი წინაპრების ნაფუძარზე კიდევ აღნიშნავენ „მარიობას“. ღმერთო, ბაბუის ფილოსოფია გაახსენე ჩემს შვილებს, როცა უფალი მიხმობს იმ დღეს.

## ◎ დღესასწაული

# მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა და მარიამ ქალწულისა მარიამისა

**28 აგვისტოს** საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამობას, ასევე დღესვეა თაყვანისცემა ღვთისმშობლის ხატთა: აწყურის, გაენათისა, წილკნისა, მეტეხისა, ქვაბთახევისა, დმანისისა, მოზდოკისა, ვლაქერნისა და სხვათა. **მომდევნო დღეს კი ვზეიმობთ ანჩისხატობას, მამა ანტონობას მარტყოფში...**

ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ. ამიტომაც მის ყოველ სიტყვას იმახსოვრებდნენ, ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს...

საგულისხმოა ის, რომ დღემდეა შემონახული ყოვლადწმიდა ქალწულის სახე, რომელიც მოციქულმა და მახარებელმა ლუკამ დახატა.

**ქრისტეს მოწაფის მიერ დახატულ თავის გამოსახულებას შეხედა დედა ღვთისამ, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი დღესასწაული — მარიამ ღვთისმშობლის მიძინება, ასევე შობა მისი, ტაძრად მიყვანება უშუალოდ დედა ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ იდიდება მარიამ ღვთისმშობელი, რადგან იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ღვთისმშობელი გახდა ზეციური ბჭე, ის არის ჩვენი სულების მხსნელი, საქართველოს გადაარჩენს ყოვლადწმიდა ქალწულის საფარველი, მისი კვართი და სარტყელი. ღვთისმშობლის მადლით გაბრწყინდება საქართველო“...

**P. S. სულით და გულით მინდა დღევანდელ დღეს დაბადებულ ადამიანს, დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის უკეთილშობილეს მოძღვარს, დეკანოზ დავითს (ჩიტიძე) მივულოცო დაბადების დღე, მრავალჟამიერი, მართალი ცხოვრებით ცხოვრება ვუსურვო!**

**გიული ლიპარტია**

# პოლიტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკა

**რუსეთის პერპექტივიდან, ეკონომიკური სტიმულის, როგორც რბილი ძალის ინსტრუმენტის გამოყენებამ, კარი განიცადა საქართველოს რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე შეტყუების თვალსაზრისით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კრემლის რიტორიკა ყურადღებას ძირითადად ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და ხალხთაშორისი ურთიერთობების აღდგენაზე ამახვილებდა, რაც პოლიტიკურ დონეზე შემდგომი გარღვევის წინაპირობად განიხილებოდა.**

დაახლოების პოლიტიკის შედეგად, რუსეთი საქართველოში წარმოებული საექსპორტო პროდუქციის, განსაკუთრებით ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ძირითად ბაზრად იქცა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსი ტურისტების რაოდენობაც. 2018 წელს საქართველოს 1.4 მილიონი რუსი ტურისტი ესტუმრა. ტურიზმი, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო სექტორი, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს (2018 წელს მშპ-ს 7.6%). ამასთან, საქართველო ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებზე, რომელიც ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ევროკავშირის შემდეგ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების უახლესი ისტორიის, მათ შორის რუსეთის მხრიდან საქართველოზე დაწესებული სრულმასშტაბიანი ეკონომიკური ემბარგოს გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეებმა კარგად იციან რუსეთის მხრიდან შესაძლო საპასუხო ნაბიჯების მაღალი ეკონომიკური და სოციალური ფასი. თუმცა, ამან ანტირუსული პროტესტის ტალღა ვერ შეაჩერა. მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რიგითი ქართველისთვის, თუმცა იგი რუსი ტურისტების გაზრდილი რაოდენობითა და ჩრდილოელ მეზობელთან სავაჭრო ურთიერთობებით ეკონომიკურ სარგებელს ნახულობს, პოლიტიკური კავშირების აღდგენა კვლავინდებურად მიუღებელია. ეს იქნება მანამ, სანამ მოსკოვი არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და მის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს და აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი.

## როცა რბილი ძალა არასაკმარისია

**უდავოა, რომ რუსეთის რბილი ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საერთო მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიაა.**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია — ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუცია ქვეყანაში, ფორმალურად მხარს უჭერს საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, თუმცა, კვლავ ინარჩუნებს რუსეთთან მჭიდრო კავშირებს. ამასთან, საქართველოს საზოგადოებაში გაბატონებული სოციალ-კონსერვატიული ღირებულებები არ არის თანხვედრაში დასავლურ პროგრესულ ნორმებთან. ეს ფაქტი ზოგიერთი ქართველისთვის რუსეთს უფრო მეტად მიმზიდველს ხდის. საქართველოს ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტიები (რომელთაგან რამდენიმე „ქართული ოცნების“ სატელიტ პარტიად მოიაზრება) და სოციალური ჯგუფები ხშირად ამ კულტურული განმასხვავებელი ფაქტორებით აპელირებენ. „ქართული ოცნების“ ირიბი თანხმობით, ანტიევროპულმა ჯგუფებმა წარმატებით მოაწყვეს ფართომასშტაბიანი გამოსვლა სექსუალური უმცირესობებისა და იმიგრანტების წინააღმდეგ. თუმცა, როდესაც საქმე რუსეთთან პოლიტიკურ დაახლოებას ეხება, ვერც საერთო რელიგია და ვერც პროგრესული ღირებულებების მიმართ წინააღმდეგობა ვერ ფარავს რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკის ნეგატიურ აღქმას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ სერგეი გავრილოვი, რუსეთის დუმის წევრი, რომლის საქართველოს პარლამენტში ხილვამაც მასობრივი პროტესტი გამოიწვია, სწორედ რომ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტი იყო. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ საერთო რელიგიურ იდენტობასაც აქვს საზღვრები. მოსკოვის მხრიდან მზარდი გავლენის საფრთხის მიუხედავად, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებმა შეძლეს განსხვავებების გვერდზე გადადება და საერთო ენაზე საუბარი. ეს ძლიერი გზავნილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებისთვისაც, რომელიც მოვლენების ამგვარ განვითარებას არ ელოდა.

## რუსეთი, როგორც ზეპარტიული საკითხი

**რუსეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება განეკუთვნება იმ მცირე რაოდენობის საკითხთა ჯგუფს, რაც საზოგადოების კონსოლიდაციას ახდენს სხვა მხრივ უაღრესად ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაციისა და სოციალური სტრატიფიკაციის ფონზე, ორმა ყველაზე ძლიერმა პარტიამ საქართველოში: მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, 2012 წლის შემდეგ წარმატებით მოახდინა საკუთარ მხარდამჭერთა ბირთვის რადიკალიზაცია.**

ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ მძაფრად ნეგატიური დამოკიდებულება აქვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ — ძირითადი ფაქტორი, რაც „ქართული ოცნების“ გამარჯვებას განაპირობებს. თუმცა ბოლო დროინდელმა პროტესტმა აჩვენა, რომ მთავარი ოპოზიციური პარტიის შელახულმა იმიჯმაც კი ვერ შეაჩერა პროტესტი მთავრობის მიმართ, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთის ინტერესების გამტარებლად იქნა აღქმული. თავის მხრივ, კიდევ ერთი ანტისამთავრობო პროტესტის ტალღის გავრცელება არც „ქართული ოცნების“ ინტერესებში იყო, რომელიც ბოლო დროს „ძალაუფლების შენარჩუნების რეჟიმში“ იმყოფება. შესაბამისად, ანტირუსული გამოსვლების შედეგად მთავრობამ თითქოს აღიარა არსებული რეალობა და ყოყმანით დამორჩილდა საზოგადოებრივ წნეხს რუსეთთან მიმართებაში.

## კრემლის ძველი სახელმძღვანელო

**ბოლო დროს მიმდინარე ანტირუსულმა პროტესტმა საქართველოსა და რუსეთს შორის დაახლოების პოლიტიკას საზღვრები დაუწესა. თუმცა, ამასთან ერთად გაიზარდა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური რისკები საქართველოსთვის, რაც ქართულმა პოლიტიკურმა კლასმა სათანადოდ უნდა მართოს. რუსეთის ფრუსტრირებული რეაქცია მიანიშნებს იმაზე, რომ კრემლმა გააცნობიერა საკუთარი რბილი ძალის წარუმატებლობა, რომელმაც საქართველოში რუსეთის ნეგატიური იმიჯის შეცვლა ვერ შეძლო.**

შესაბამისად, თუკი ისტორიამ რამე გვასწავლა, უნდა ველოდოთ, რომ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს შესაძლოა, კრემლის მხრიდან ძალადობრივი მეთოდების დაბრუნება და ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაწყვეტა მოყვეს. რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიერ რუსული ავიახაზებისთვის რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აკრძალვა შესაძლოა ამის პირველი ინდიკატორი იყოს. საქართველოს მთავრობამ, შესაძლოა მალე აღმოაჩინოს, რომ ქვეყნის ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდა წინდაუხედავი ნაბიჯი იყო, რაც როგორც მოსკოვთან, ისე საკუთარ ხალხთან დამოკიდებულებაში სიფრთხილის არარსებობაზე მიანიშნებს.

**კორნელი კაკაჩია,**
**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი**

**ბიძინა ლებანიძე,**
**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი**

## ბრაზილიის მთავრობამ დიდი შვიდიანის ფინანსურ დახმარებაზე უარი განაცხადა

**ბრაზილიის** მთავრობამ დიდი შვიდიანის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება უარყო. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, ბრაზილიის მთავრობას ამ გადაწყვეტილების მიზეზები არ დაუსახელებია, თუმცა პრეზიდენტმა ჟაირ ბოლსონარომ განაცხადა, რომ საფრანგეთი, მათ, როგორც კოლონიას ისე ეპყრობა. ბრაზილიის თავდაცვის მინისტრმა ფერნანდო სილვამ კი განაცხადა, რომ ამაზონის ტროპიკულ ტყეში ხანძარი კონტროლს ექვემდებარება. ფერნანდო სილვას განმარტებით, სამინისტრომ სტიქიასთან საბრძოლველად 44 ათასი ჯარისკაცი გამოყო.

**„მადლობა, თუმცა შესაძლოა, აღნიშნული რესურსი ევროპის ტყეებისთვის უფრო რელევანტური იყოს. ემანუელ მაკრონს ეკლესიაში პროგნოზირებადი ხანძრის თავიდან არიდებაც კი არ შეუძლია. მას კი სურს, ჩვენს ქვეყანას გაკვეთილი ჩაუტაროს“,** — განაცხადა ჟაირ ბოლსონაროს ოფისის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. დიდი შვიდიანი სამიტის დასრულების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ დიდი შვიდეულის წევრი სახელმწიფოები ამაზონის ტროპიკულ ტყეში ხანძართან საბრძოლველად 22 მილიონ დოლარს გამოყოფდნენ.

## ირანის პრეზიდენტი ტრამპს ულტიმატუმს უყენებს

**ირანის** პრეზიდენტი ჰასან როჰანი გამოეხმაურა შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან შესაძლო შეხვედრას და განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე, აშშ-მა ირანისთვის დაწესებული სანქციები უნდა მოხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეხვედრა „უბრალოდ ფოტომასალა იქნება“.

როჰანის განცხადება მოჰყვა ბიარიცში დონალდ ტრამპის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი დათანხმდებოდა ირანის პრეზიდენთან შეხვედრას თუ საამისო „პირობები სწორი ან მართებული იქნებოდა“. თავის მხრივ ტრამპის ეს განცხადება, ბიარიცში, სამიტზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის მოულოდნელ გამოჩენას მოჰყვა.

**„აშშ-ის სანქციების პირობებში, ჩვენი ურთიერთობების ვერავითარ პოზიტიურ განვითარებას ვერ ვხედავთ“,** — თქვა როჰანიმ თავის სატელევიზიო გამოსვლაში და დასძინა, რომ „ახლა ვაშინგტონის გადასაწყვეტია, თუ რა მოხდება მომავალში“.

**„თუ ვინმე ლამობს, რომ ეს შეხვედრა, მხოლოდ როჰანისთან ფოტოს გადაღებისთვის გამართოს, ეს არ მოხდება“,** — თქვა ირანის პრეზიდენტმა.

*შეგახსენებთ: 25 აგვისტოს, ბიარიცში, დიდი შვიდეულის სამიტზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამედ ჯავად ზარიფი მოულოდნელად ჩავიდა, სადაც მან მოლაპარაკებები თავის ფრანგ კოლეგასთან ჟან ივ ლე დრიანთან გამართა. ზარიფის ბიარიცში ვიზიტთან დაკავშირებით კომენტირებისას დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას სურს ირანი გაძლიერდეს და მის ინტერესებში არ შედის ირანის რეჟიმის ცვლილება. ამასთანავე მან არ გამორიცხა ირანის პრეზიდენტთან შეხვედრის შესაძლებლობა. თეირანსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობა მას შემდეგ გამწვავდა, რაც დონალდ ტრამპის ინიციატივით, აშშ ირანის ბირთვული შეთანხმებიდან გამოვიდა.*

# სენაკში სასიამოვნო გამოცოცხლებაა...

**ეს წერილი დამაწერინა მადლიერების გრძნობამ, იმის განცდამ, რომ ჩემი კოპწია სენაკი, რომელიც დიდი ქუჯი ერისთავის ნაფუძარზეა აღმოცენებული, დღითი დღე მშვენდება. ქუჯმა და ფარნავაზმა დაუდეს საფუძველი ერთიანი საქართველოს შექმნას.**

სამეგრელოს, კოლხური ცივილიზაციის ფანტელები კვებავს. როგორც სრულიად ქართული თვითმყოფადი სულის ელექსირი. მან შობა და გზა დაულოცა დიდ მამულიშვილებს: ცოტნე დადიანს, აკაკი ხორავას, ვალერიან გუნიას, შალვა დადიანს, არნოლდ ჩიქობავას, ჟიული შარტავას და უამრავ სხვას, და დღეს, როცა სენაკის რაიონის მუნიციპალიტეტის მერიაში მოღვაწეობენ ენერგიული და მიზანსწრაფული ახალგაზრდები, უნებლიედ მიჩნდება მადლიერების გრძნობა.

ვერ ვიტყვი უფროსი თაობის მოღვაწეობით კმაყოფილი ვიყო. გულისამრევი გახლდათ, როცა წინა თაობის უფანტაზიო, რესურსგამოცლილი ადამიანები ებღაუჭებოდნენ თანამდებობებსა და ყველა ხერხით ცდილობდნენ სავარძლების შენარჩუნებას.

ბოლოს და ბოლოს დრომ წერტილი დაუსვა მათ ამბიციებს, ახალგაზრდებს გაუხსნა გზა ხელმძღვანელობისაკენ. მოვიდა თაობა ახალი ტემპერამენტითა და მოჭარბებული ჟინით. დღეს, როცა ქალაქში დავდივარ, ვხედავ, რომ მთლიანად გამოიცვალა ქვაფენილი. ყველა მაღლივი კორპუსი შეილესა ბათქაშით და იღებება, სახლებმა შეიძინეს მხიარული ფერები, დამშვენდნენ და კოპწიაობენ. სკვერები, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი, ახლით შეიცვალა. ქალაქი მთლიანდ გაზიფიცირებულია, წყალი ოცდაოთხი საათით მიეწოდება მოსახლეობას . ღამის განათება მოეწყო განაპირა ქუჩებში და გვიან ღამემდე შესაძლებელია უხიფათო სეირნობა. სისტემატიურად ეწყობა კულტურული ღონისძიებები, საღამოები და შეხვედრები.

ეს ჩემში, და არა მხოლოდ ჩემში, იწვევს მადლიერების გრძნობას, რომ დაიწყო სულიერი და ფიზიკური შემობრუნება, შენებისა და აღორძინებისკენ.

მესმის, ძნელია მადლიერი იყო, როცა ირგვლივ ამდენს უჭირს, ავადაა და სათანადოდ ვერ მკურნალობს. ამდენი პრეტენზიებია ხელისუფლების მიმართ. მაგრამ ნათლად ვხედავ ჩემი ქალაქი შენდება, მშვენდება, ცხოვრების პირობები უმჯობესდება. არ შემიძლია თავჩაქინდრულმა, უმადურობა გამოვხატო და სათანადო წამახალისებელი ორიოდ სიტყვა არ გავიმეტო ჩემი შვილების თანატოლებისადმი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის, პირველი მოადგილის გრიგოლ ბაღათურიასა და მოადგილის, კახაბერ კუპრეიშვილის მიმართ. თუ ორი წლის წინათ რაიონის კეთილმოწყობისათვის მხოლოდ 4 მილიონი დაიხარჯა, მიმდინარე წელს დაგეგმილია ორჯერ მეტი, ანუ 8 მილიონი ლარის სამუშაოების ჩატარება. სამუშაოთა დიდი ნაწილი შესრულებულია ან მიმდინარებს მშენებლობა.

ვინმემ არ იფიქროს, რომ გუნდრუკს ვუკმევ ვინმეს. ეს სრულებით არ მჭირდება 20-ზე მეტი წიგნის ავტორს. უბრალოდ მინდა ვიყო მადლიერი, უფლისა და იმ ახალგაზრდა, აქტიური, გონებაგახსნილი და შემოქმედი ახალგაზრდა სამეულის მიმართ, რომლებიც ცდილობენ საკუთარი კეთილი კვალი დატოვონ მშობლიური რაიონის აღმშენებლობაში.

როგორ არ უნდა ვიყო მადლიერი, როცა, 2017 წელს თუ რაიონის საკუთარი შემოსავალები წლის განმავლობაში შეადგენდა 4 მილიონ სამას ათას ლარს. მიმდინარე, 2019 წლის პირველ ნახევარში უკვე მოზიდულია 4. 6 ათასი ლარი. ანუ იმაზე მეტი, ვიდრე წინა მთელ, წელიწადში. ეს გეგმაზომიერი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია. მთავარია რისთვის იხარჯება ეს ორჯერ მეტი შემოსავალი? ძირითადად სოციალური მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად. განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება მოსახლეობის სოციალურ დაცვას, უიშვიათესი დაავადების მქონე ბავშვთა მკურნალობას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებას. მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსებას, ხანძრის შედეგად დაზარებულთა დახმარებას. თირკმლის ჩანაცვლების თერაპიას. უფასო სასადილოს შეუფერხებელ საქმიანობას და ასე შემდეგ. სიახლე ის გახლავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებზე გამოიყო ორჯერ მეტი თანხა, ვიდრე წინა წლებში. სწორედ ეს იწვევს მადლიერებას!

ისიც, რომ რაიონის ახალგაზრდა ხელმძღვანელებისათვის არ არის განსაზღვრული სამუშაო საათები. შაბათია, კვირაა, დილაა, საღამო თუ ღამეა, ერთად ნახავთ ქალაქში თუ სოფელში, ერთად მიდიან მშენებარე ობიექტებზე, ამოწმებენ და შენიშვნებს ისმენენ. მგონია, რომ მათი წარმატების მიზეზი ერთობაა, ერთი მიზნისთვის შეთანხმებული გარჯა და სწრაფვაა. გრძნობენ ცხოვრების მხურვალე სუნთქვას . ეტყობა გათავისებული აქვთ, რომ რაიონის ისტორიას წერენ ახლის შენებითა და სიახლეების დანერგვით.

ოცდაათი წლის წინათ სენაკელები მასპინძლობას უწევდნენ ესტონეთის რესპუბლიკის რაკვერესა და უკრაინის ბელაია ცერკოვოს წარმომადგენლებს. ეს მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ახალისებდა და თავისებურ თბილ ფერებს სძენდა ხალხების დაახლოებას. ავი ჟამის გამო მივიწყებული იქნა. ახლა ეს ტრადიცია აღსდგა და „ეგრისობის“ დღესასწაულზე ჩვენ კვლავ ვიხილეთ ესტონელი და უკრაინელი მეგობრები.

მგონია, რომ ახლა სისხამი დილა უდგას ჩემს რაიონს. დარწმუნებული ვარ, შუა დღეც წარმატებული იქნება, რადგან ახალგაზრდა ხელმღვანელებმა თავიანთი მხრები შეუშვირეს წლობით დაგროვილ ნაკლოვანებებს და სცადეს დიდი სიმძიმის დაძლევა. მათ გადალახეს ჯებირი, მოახერხეს გარდატეხის შეტანა, დაძლიეს წინაღობები და რაიონის აღმასვლას შეუწყვეს ხელი.

გასაკეთებელი თავზე საყრელია, თუმცა მიუხედავდა ამისა, ვალდებული ვართ თბილი სიტყვებით წავახალისოთ ჩვენი შვილები და დავუდგეთ მათ გვერდით.

ნათქვამია, რაც უფრო მეტად მადლიერები ვართ იმისთვის, რაც უკვე გვაქვს, მით უფრო მეტს მივიღებთო. ალბათ ბევრს გაუგია გამოთქმა: „მსგავსი იზიდავს მსგავსს“ მერმა ლ. კუპრეიშვილმა მოადგილეებად თავისივე მსგავსი აქტიური და შრომისმოყვარე ადამიანები შეარჩია, გვერდით დაიყენა. სასიამოვნოა, როცა მერის გამოსვლას უსმენ. ის ლაპარაკობს დინჯად, თუმცა, ემოციური სისხარტით. ცდილობს თითოეული სიტყვა იყოს დამაჯერებელი, მთავარ სათქმელს ორ- სამჯერ იმეორებს, რომ მსმენელისთვის გასაგები იყოს.

გულწრფელობა და უშუალობა მუდამ მიზანში ხვდება.

შინაგანი წონასწორობით, საგანთა და მოვლენათა ფხიზელი ხედვით, სამეულს აქვს უნარი რთულ ვითარებაშიც იზრუნოს რაიონის კეთილდღეობისათვის. ჩემს უმცროს თანამოაზრეებს მინდა შევახსენო, რომ ხელისუფლებაში ყოფნა რაღაცით ჰგავს ცეცხლთან თამაშს. ხშირად დაუმსახურებელი საყვედურების მიღებას ვერ ასცდები. უკვდავმა დოსტოევსკიმ ბრძანა: „როცა მიზნისკენ გაგიწევია და გზად ხშირად ჩერდები, რათა ქვა ესროლო ყოველ ძაღლს, რომელიც შემოგიყეფს, მაშინ მიზნამდე ვერასდროს მიაღწევო“ დიახ. კეთილი მიზნისკენ სწრაფვა მსხვერპლის გარეშე ვერ ხერხდება. მადლიერება კი ის გრძნობაა, რომელიც დაგვეხმარება ჩვენში დავამარცხოთ ნეგატივი და არჩევანი გავაკეთოთ ერთმანეთის დაფასებაზე.

**ბორის დავითაია**

## ეროვნული გვარდია აქტიურ რეზერვში მოქალაქეების მიღებას განაგრძობს

**საქართველოს** თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია აქტიურ რეზერვში მოქალაქეების მიღებას განაგრძობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამ მიზნით, ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები მოქალაქეებს შეხვდნენ, საინფორმაციო ბროშურები გადასცეს და რეზერვში მიღების პროცედურები განუმარტეს.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე ტერიტორიულ რეზერვში ქალაქ თბილისის, მცხეთისა და იმერეთის რეგიონში მცხოვრები 18-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეები მიიღებიან. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებ 18-დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტებსაც, რომლებსაც სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ, სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ. საბუთები მიიღება 13 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, დილის 10:00-დან 16:00 საათამდე.

თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ აქტიურ რეზერვში ჩარიცხული მოქალაქეები ხუთი წლის განმავლობაში იმსახურებენ და სამხედრო სამსახურის პერიოდში მათი წლიური მინიმალური ანაზღაურება ხელზე ასაღები 2700 ლარი იქნება. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში კი, რეზერვისტები შრომის ანაზღაურების სრულ ოდენობას მიიღებენ. საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღეზეა გათვლილი და 12 თვეზე ნაწილდება.

„დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თავდაცვის სამინისტროს ვებ და ფეისბუქგვერდებზე. ქ. თბილისი – ეროვნული გვარდია, ვ. გორგასლის ქუჩა №89, ((995 032) 2 75 26 44; (+995 595) 06 03 44; ქ.

მცხეთა – აღმაშენებლის ჩიხი, (+995 591) 55 15 68;

ქუთაისი – მე-3 ქვეითი ბრიგადა, ახალგაზრდობის გამზირი, №1 შესახვევი, (+995 577) 19 73 05“, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

## აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები ბაქოში

**როგორც** აზერბაიჯანული სააგენტო „ტ რ ე ნ დ ი“ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით წერს, სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ეთერნითი-2019“ (**Eternity**-2019) 2 სექტემბერს დაიწყება.

სწავლება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან შედგება და გაიმართება როგორც აზერბაიჯანის შეირაღებული ძალების საომარი თამაშების ცენტრში, ისე საველე პირობებში. წვრთნის დროს, სამი ქვეყნის სამხედრო დანაყოფები რეგიონული ეკონომიკური პროექტების დაცვის ამოცანებს შეასრულებენ. სამხედრო წვრთნა 6 სექტემბრამდე გაგრძელდება.

◎ ჩოგბურთი

# ქართული დღე ამერიკაში

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა ამერიკის ღია პირველობაზე სტარტი წარმატებით აიღო და მეორე წრეში თამაშის უფლება**

**მოიპოვა. 27 წლის ქართველის პირველი მეტოქე მარტონ ფუჩოვიჩი იყო.**

უნგრელი ნიკოლოზისთვის უხერხულ მეტოქედ მიიჩნევა და აქამდე გამართული 7 დაპირისპირებიდან 5 წაგებულიც ჰქონდა, თუმცა, ამჯერად ჩვენებურს შეცდომა არ დაუშვია და მისი ბარიერის დაძლევა მოახერხა. ამისთვის მას საკმაო ძალისხმევა დასჭირდა. მატჩი 3 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა და ბასილაშვილმა უმძიმეს ხუთსეტიან ბრძოლაში 3:2 მოიგო — 3:6, 6:4, 6:2, 3:6, 6:3.

პირველი სეტი ბასილაშვილმა პრაქტიკულად უბრძოლველად წააგო, სამჯერ დაბრეიკდა და შედეგი მოულოდნელი აღარ ყოფილა. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში შეძლო მობილიზება და უნგრელს 6:4 აჯობა. კიდევ უფრო ადვილი გამოდგა მესამე სეტი, რომელიც ჩვენებურმა 44 წუთში მარტივად, 6:2 მოიგო.

მეოთხე სეტიც ბასილაშვილისთვის კარგად დაიწყო — ორჯერ შეასრულა ბრეიკი, მაგრამ რად გინდა, თავადაც ორჯერ დაბრეიკდა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწია (2:2). მერე ფუჩოვიჩი გაცილებით დამაჯერებლად ირჯებოდა და წონასწორობაც აღდგა — 3:6.

საქმე გადამწყვეტ პარტიაზე მიდგა, რომელიც ნიკოლოზისთვის კატასტროფულად დაიწყო. მართალია, პირველი გათამაშება თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ მერე მიჯრით სამი გეიმი დათმო და საგრძნობლად ჩამორჩა — 1:3. თითქოს, სასწაულის იმედად იყო დარჩენილი, მაგრამ პატარა სასწაულებს უკვე მიგვაჩვია კიდეც. ასეც მოხდა. აქედან მოყოლებული, ბასილაშვილმა ზედიზედ 5 გეიმში იმარჯვა (რაც მატჩის საუკეთესო სერია გამოდგა) და შეხვედრაც გამარჯვებამდე მიიყვანა.

ნიკოლოზმა 2 ეისი შეასრულა და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო საპასუხოდ მისი მეტოქის მაჩვენებლები იყო — 3 ეისი, 7 ორმაგი შეცდომა. ქართველი უპირატესობას ვინერსებშიც ფლობდა: 29 22-ის საპირწონედ. ვთქვათ ისიც, რომ ბასილაშვილი ATP-ის ლაივ-რეიტინგში 1850 ქულით მე-16 საფეხურზე იმყოფება.

მეორე წრეში ქართველი ამერიკელ იენსონ ბრუქსბის გაეჯიბრება, რომელიც რეიტინგში 394-ე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ მასპინძელმა პირველ წრეში ხმაურიანი სენსაცია მოახდინა და ტომაშ ბერდიხი ოთხ სეტში 6:1, 2:6, 6:4, 6:4 დაამარცხა. ბასილაშვილისა და ბრუქსბის დაპირისპირება დღესაა ჩანიშნული.

* * *

**21 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა მარიამ ბოლქვაძემ აშშ-ს ღია პირველობაზე მორიგი გმირობა ჩაიდინა და კვალიფიკაციაში 3 გამარჯვების შემდეგ ტურნირის ძირითად ბადეშიც წარმატებული სტარტი აიღო.**

ტრავმირებულ ბოლქვაძეს ორივე ფეხი ბინტით ჰქონდა შეხვეული, თუმცა, მსოფლიოს რეიტინგში 65-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ ბერნარდა პერასთან მატჩში საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და 2 საათსა და 21 წუთში 6:3, 5:7, 6:4 იმარჯვა.

მარიამმა პირველ სეტში მეტოქის მოწოდება 2-ჯერ აიღო, მეორეში 5:3 დაწინაურდა, თუმცა, ემოციურ მომენტში ზედიზედ 6 (!) გეიმი დათმო. ამგვარად, ქართველი ჩოგბურთელი გადამწყვეტ სეტში 0:2 ჩამორჩა, ანგარიში გაათანაბრა, ისევ დაბრეიკდა და 2:4-ს აგებდა, თანაც ამ პერიოდში ექიმის დახმარება არაერთხელ დასჭირდა.

ბოლქვაძე თითქოს განწირული სჩანდა, თუმცა, ბოლო ძალები მოიკრიბა და აღნიშნული ანგარიშის შემდეგ კორტის მასპინძელს მიჯრით 4 გეიმი აართვა, რამაც საბოლოო გამარჯვება მოუტანა.

ქართველმა ჩოგბურთელმა 2 ეისი მოაწოდა და 5 ორმაგი შეცდომა ჰქონდა (ამერიკელს, შესაბამისად, 3 და 4), პირველ მოწოდებაზე ბურთების 63% (37 59-დან) მოიგო, მეორეზე კი — 56% (23 41-დან). მარიამმა 20-დან 6 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი მოწოდება 4 ჯერ წააგო (პერას 9 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა).

ბოლქვაძემ აშშ-ს ღია პირველობის მე-2 წრეში გასვლით 100 ათასი დოლარი და 45 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა, რაც მას კლასიფიკაციაში ძალიან ახეირებს. მარიამი ნიუ იორკის კორტებზე მიმდინარე ტურნირის სტარტს 202-ე ადგილზე შეხვდა, ლაივ-კლასიფიკაციაში კი 398 ქულით უკვე მისთვის სარეკორდო 151-ე პოზიციაზეა.

ქართველ გოგონას მომდევნო წრეში მისთვის ისტორიული მატჩი ელის, რადგანაც დღეს მსოფლიო რეიტინგში მე-3 ადგილზე მყოფ და US Open-ზე ასეთივე განთესვის მქონე ჩეხ კაროლინა პლიშკოვას ეთამაშება. მან გუშინ დიდი ბრძოლა გადაიტანა და თანამემამულე ტერეზა მარტინცოვას მხოლოდ ტაიბრეიკებზე — 7:6 (8:6), 7:6 (7:3) აჯობა.

**კობა კობახიძე**

◎ კალათბურთი

# მაკედონელი „დინამოში“

**საკალათბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ახალი თავკაცი ჰყავს. ქართულ გრანდს სათავეში მაკედონიელი სპეციალისტი მუია ტაჩი ჩაუდგა. ის ფიბას ლიცენზირებული მწვრთნელია და დიდი გამოცდილებითა და წარმატებული კარიერით გამოირჩევა, „დინამოს“ კი რამდენიმე სეზონის**

**განმავლობაში დაეხმარება.**

„ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ზაზა ფაჩულიასა და შიო ხეცურიანს, რომელთაც მომცეს შესაძლებლობა, ვიყო ამ ოჯახის წევრი“ — აღნიშნა ტაჩიმ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# საფეხბურთო მოზაიკა

**საფრანგეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავი ერიკ კანტონა უეფას პრეზიდენტის ჯილდოს 2019 წლის მფლობელი გახდა. გადაწყვეტილება თავად ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის თავკაცმა ალექსანდრ ჩეფერინმა მიიღო.**

პრეზიდენტის ჯილდო, ჩვეულებრივ, ენიჭებათ განსაკუთრებული საფეხბურთო მიღწევებისთვის, პროფესიონალიზმისა და განუმეორებელი პირადი თვისებების გამო. ჩეფერინმა აღნიშნა, რომ კანტონამ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სხვა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა.

**„ეს ჯილდო არა მარტო დიდებული მოთამაშის კარიერის, განუმეორებელი სტილისა და საოცარი ქარიზმის მქონე მოთამაშის აღიარებაა, არამედ იმის ნიშანიც, თუ როგორ ცხოვრობთ კარიერის დასრულების შემდეგ.**

**კანტონა არის ადამიანი, რომელიც არ ცნობს კომპრომისებს უსამართლობასთან, ბრძოლაში, მტკიცედ იცავს ღირებულებებს და, რაც მთავარია, სულს და გულს დებს იმაში, რისიც მართლა სწამს.“** — ციტირებს უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი ჩეფერინის სიტყვებს.

ეს ჯილდო წინა წლებში ალფრედო დი სტეფანოს, სერ ბობი ჩარლტონს, ეუსებიოს, რაიმონ კოპას, იოჰან კრუიფს, ფრანჩესკო ტოტისა და დევიდ ბექჰემს მიუღიათ.

* * *

**მადრიდის „რეალის“ ყოფილმა თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა იმედი გამოთქვა, რომ „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევი ნეიმარი, „სამეფო კლუბში“ გადავა.**

**„ძალიან მინდა ნეიმარი „რეალში“ ვიხილო იმიტომ, რომ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, ის ზიდანის გუნდს იმ თვისებებს შემატებს, რომლებიც აკლია.**

**ბრაზილიელი მნიშვნელოვნად გააძლიერებდა გუნდს, რათა მხოლოდ „ბარსელონასთან“ და „ატლეტიკოსთან“ კი არ იყოს კონკურენტუნარიანი ესპანეთის ჩემპიონატში, არამედ ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით ითამაშოს.“** — ციტირებს მიატოვიჩის სიტყვებს Goal.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში 2 სექტემბერს იხურება.

* * *

**„ტოტენჰემის“ დანიელი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი, ჩანს, შეეგუა, რომ ამ ზაფხულს მისი ტოპ კლუბში ტრანსფერი ვერ მოხერხდება.** Daily Mail-ის ცნობით, **ლონდონელებმა მას ახალი კონტრაქტი და კვირაში ჯამაგირად 220 ათასი ევრო შესთავაზეს, თუმცა, დანიელი ამბობს, რომ საქმე მხოლოდ ფულში არ არის.**

ერიქსენი არ მალავდა, რომ ძალიან უნდოდა რომელიმე გრანდში გადასვლა, მაგრამ სერიოზული წინადადება მათგან ვერ მიიღო. სავარაუდოდ, დანიელი უარს იტყვის „დეზების“ ახალ შეთავაზებაზე, ერთ სეზონს კიდევ გაატარებს ნისლიან ალბიონზე და გაისად ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა სხვა უფრო ძლიერ კლუბში.

გამოცემა წერს, რომ მისით მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული, თუმცა, „ტოტენჰემის“ მიერ მოთხოვნილ 55 მილიონ ევროს იგი სავარაუდოდ არ გადაიხდის.



* * *

**„ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ თუკი მერსისაიდულ კლუბთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ შეატყობს, რომ მუშაობას ვერ შეძლებს, პაუზას აიღებს.**

„თუკი შევატყობ, რომ ვეღარ ვმუშაობ, ერთწლიან პაუზას ავიღებ და ამასობაში კარიერის მომავლის თაობაზე გარკვეულ გადაწყვეტილებებს მივიღებ.

ენერგია ბევრი მაქვს, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა — არ შემიძლია მთელი ძალით არ ვიმუშაო. ან ყველაფერი, ან არაფერი, ეს არის ჩემი დევიზი.

თუმცა, ერთწლიანი შესვენების შემდეგ, ვიმედოვნებ, ენერგია ისევ მოზღვავდება და ძველებურად გავაგრძელებ მუშაობას.“ — განუცხადა გერმანელმა სპეციალისტმა Sky Sports-ს.

შეგახსენებთ, რომ კლოპის ამჟამინდელ კონტრაქტს „ლივერპულთან“ 2022 წლის ზაფხულში ეწურება ვადა.

**გიორგი შოთაძე**

# საუკეთესო ქვეყნები ცხოვრებისა და მუშაობისთვის

## ათეულში შვეიცარიასთან ერთად ვიეტნამიც მოხვდა

**ბევრი ადამიანი ოცნებობს სხვა ქვეყანაში ცხოვრების თავიდან დაწყებაზე, კარიერული ზრდის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ზრდის ახალი შანსების გაჩენაზე.**

**ამიტომაც მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა HSBC ჩაატარა გამოკვლევა 18 059 ექსპატს შორის 163 ქვეყანაში და გამოავლინა ოჯახთან ერთად გადაბარგებისთვის საუკეთესო სახელმწიფოები ცხოვრების სტანდარტების, კარიერული შესაძლებლობებისა და ბავშვებისთვის უკეთესი მომავლის თვალსაზრისით.**

### 1. შვეიცარია

**შვეიცარიაში** **გამოკითხულ ექსპატთა შორის უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათი ცხოვრების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა.**

მათ ასევე აღნიშნეს, რომ შვეიცარია უფრო სუფთა და უსაფრთხოა, ვიდრე მათი ქვეყნები.

საშუალო ხელფასი იქ არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში — 111 587 დოლარი წელიწადში, თუმცა, შვეიცარია გამოირჩევა ცხოვრების მაღალი ღირებულებით. მაგალითად, ციურიხი და ჟენევა შედიან მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების რიცხვში და შესაბამის რეიტინგში იკავებენ მე-4 და მე-5 ადგილს.

### 2. სინგაპური

**ეს ქვეყანაც იდეალურია ოჯახისთვის - ის გამოირჩევა პირადი უსაფრთხოების ძალიან მაღალი დონით და კარიერული ზრდისთვის მშვენიერი შესაძლებლობებით.**

თუმცა, ისევე როგორც შვეიცარია, სინგაპური ძალიან ძვირი ქვეყანაა.

### 3. კანადა

**რთის-ს კვლევის თანახმად, კანადა არის ერთ-ერთი ყველაზე მეგობრული ქვეყანა ექსპატებისთვის.**

იქ ძირითადად ჩადიან დიდი ხნით. აშშ-ში ამბობენ - თუ გსურს დაიპყრო სამყარო — უნდა ჩახვიდე შტატებში, თუ გსურს მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება - კანადაში.

### 4. ესპანეთი

**ოდნავ მოდუნებული, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილი აძლევს უცხოელებს კეთილდღეობით დატკბობის და საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების იდეალურ შესაძლებლობას.**

გამოკითხულთა 67%-მა აღიარა ცხოვრებისა და სამუშაოს ბალანსის გაუმჯობესება ესპანეთში გადაბარგების შემდეგ.

### 5. ახალი ზელანდია

**ძალიან პოპულარული ქვეყანა ექსპატებისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ჩამოვიდა აქ ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან — ბრიტანეთიდან, შტატებიდან, სამხრეთ აფრიკიდან.**

მათი უმეტესობა აღნიშნავს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ახალი ზელანდია გამოირჩევა ცხოვრების მაღალი სტანდარტებით, იდეალური სისუფთავით და საუკეთესო ეკოლოგიური მდგომარეობით.

რთის-ს კვლევის მიხედვით, ისინი, ვინც ჩავიდნენ ახალ ზელანდიაში, სავარაუდოდ დარჩებიან იქ საშუალოდ 20 წლით.

### 6. ავსტრალია

**ექსპატების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ავსტრალიაში გრძნობს თავს ფიზიკურად უფრო ჯანმრთელად.**

მათი აზრით, ასევე ავსტრალიაში ეკოლოგიური მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე მათ ქვეყნებში.

ბევრმა ასევე აღნიშნა სამუშაოს და თავისუფალი დროის კარგი ბალანსი.

თუმცა, ავსტრალია ძალიან ძვირი ქვეყანაა.

### 7. თურქეთი

**ექსპატები მიიჩნევენ, რომ თურქები არიან ძალიან სტუმართმოყვარეები და გახსნილები,**

აქ ასევე არის მაღალი კულტურული გარემო და ძალიან გემრიელი სამზარეულო. ასევე აღინიშნება, რომ ცხოვრება თურქეთში საკმაოდ იაფია.

### 8. გერმანია

**ეს ქვეყანა გამოირჩევა ცხოვრების მაღალი დონით და პოლიტიკური სტაბილურობით.**

მშობლები თვლიან, რომ გერმანია უკეთესია ოჯახური თვალსაზრისით და ბავშვების აღზრდისთვის.

### 9. ემირატები

**გაერთიანებული** **არაბული ემირატები ცნობილია იმით, რომ იქ არ არსებობს მოგების გადასახადი და დღგ საქონლის დიდ ნაწილზე.**

ეს არის მშვენიერი მიმართულება ფინანსურად მოტივირებული ადამიანებისთვის, და რთის-ს მიერ გამოკითხულ ექსპატების უმრავლესობას ემირატებში ჩამოსვლის შემდეგ გაეზარდა შემოსავალი.

### 10. ვიეტნამი

**ერთადერთი** **განვითარებადი ქვეყანა, რომელიც მოხვდა რეიტინგში ცხოვრების დაბალი დონის და მოკრძალებული შემოსავლების მიუხედავად.**

ექპსატები აღნიშნავენ რომ ვიეტნამში ადვილია ინტეგრირება, ადგილობრივები კი გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით.

ქვეყანა ასევე აძლევს უცხოელებს კარიერული ზრდის კარგ საშუალებებს, იქ ასევე კარგია ბალანსი სამუშაოს და დასვენებას შორის.

ნაკლოვანებებს შორის არის ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, და გართობის და დასვენებისთვის არასაკმარისი შესაძლებლობები.

HSBC.COM

# დაკავშირებით კონტროლი მკაცრდება

**მიმდინარე წელს ნადირობის სეზონი 24 აგვისტოს დაიწყო და 2020 წლის 29 თებერვალს დასრულდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, სეზონის ფარგლებში, ნადირობის წესების დარღვევის გამოვლენისა და უკანონო ნადირობის აღკვეთის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლები, საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს განახორციელებენ.**

მათივე ინფორმაციით, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველებმა, ნადირობისას თან უნდა იქონიონ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის (10 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნადირობის დროს აკრძალულია: მცენარეთა საფარის დაწვა, გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება-გაყიდვა, ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა-განადგურება; ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებების გამოყენება — ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეები (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგები, მარყუჟები, აგრეთვე, ორმოები, სარეგვავები (სარეჯგველები); საწამლავი, ასაფეთქებელი საშუალებები; ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა; სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორების გამოყენება; თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება; ნადირობა დაჭან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით.

ნადირობა აკრძალულია: საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, ასევე სახელმწიფო ნაკრძალების გარშემო 500-მეტრიან და ეროვნული პარკების გარშემო 250-მეტრიან ზონებში. აკრძალულია ყველა სხვა იარაღით ნადირობა, რომელიც მითითებული არ არის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში, კერძოდ: სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფი); სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (კარაბინი ან შაშხანა); სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღი (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი); სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღი; სანადირო პნევმატური იარაღი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას მოუწოდებს, კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს — 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

# ქრონიკულად დაავადებულთა საყურადღებოდ!

**როგორც „კომერსანტს“** პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **აკაკი ზოიძემ** აცნობა, უახლეს მომავალში იზრდება იმ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო დასახელების მედიკამეტების რაოდენობა, რომლებიც სიმბოლურ ფასად გაიყიდება:

**„თვისობრივად უნდა შევცვალოთ ქრონიკული დაავადებების რაოდენობა, რადგან 35 ძალიან ცოტაა და აუცილებლად უნდა გავზარდოთ. დღესდღეობით, ქრონიკული ავადმყოფები ყოველწლიურად წამლებში ხარჯავენ 726 მლნ. ლარს. თანაც, მედიკამენტები ყოველთვიურად ძვირდება, ყოველ შემთხვევაში უფრო სწრაფად ვიდრე ინფლაცია, ამიტომ ესაა ყველაზე დიდი პრობლემა. 100-მდე მაინც უნდა გაიზარდოს იმ წამლების რაოდენობა, რომელთაც სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა, შშმ პირები, ვეტერანები, პენსიონერები და სხვა ჯგუფები, სიმობლურ ფასად შეიძენენ. დანარჩენი მოსახლეობა კი ნახევარ ფასად მაინც. ამ ინიციატივის შესახებ მთავრობამ თავის დროზე გაახმიანა, თუმცა ახლა უკვე აქტიურად დავიწყეთ მუშაობა პროექტის განსახორციელებლად. საშემოდგომო საპარლამენტო სესიაზე უკვე ეს საკითხი დღის წესრგიში დადგება და ძალიან მალე ამოქმედდება“.**

შეგახსნებთ, დღეს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 დასახელების მედიკამენტი 1 ლარად იყიდება და აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობამ მიმდინარე წლის აგვისტოს დასაწყისში მიიღო.

პროგრამა **„35 მედიკამენტი 1 ლარად“**, განკუთვნილია გულსისხლძარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, დიაბეტის, ეპილეფსიისა და პარკინსონის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის.

**სალომე ლემონჯავა**

## „ჩხიკვთა ქორწილი - ბლექსი არენაზე“

**„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, პირველ სექტემბერს, მიუზიკლ „ჩხიკვთა ქორწილზე“ დასწრების მსურველთათვის, თბილისიდან ბათუმის მიმართულებით დამატებითი მატარებელი დაინიშნება, რომელიც რეისებს ორივე მიმართულებით შეასრულებს და „ბლექ სი არენას“ (Black Sea Arena) ბაქანზე გაჩერდება.**

მატარებელი შემდეგი განრიგით იმოძრავებს: გასვლა – **თბილისი** 12:40 საათი, ჩასვლა – „ბლექ სი არენა“ 17:25 საათი; ჩასვლა – ბათუმი 18:23 საათი, გამოსვლა-**ბათუმი** 23:50 საათი; გამოსვლა-„ბლექ სი არენა“ 0:38 საათი, ჩასვლა – თბილისი 5:15 საათი.

ამასთანავე, თბილისიდან და ბათუმიდან პირველ სექტემბერს მატარებელი №802/807, 805/806, 852/851, 808/801, 804 თბილისი-ბათუმს და 2 სექტემბერს მატარებელი №811 ბათუმი-თბილისს გაჩერებები „ბლექ სი არენას“ ბაქანზეც ექნებათ.

ბილეთების შეძენა შესაძლებელია მობილური აპლიკაციით – Georgian Railway Tickets. აპლიკაციას აქვს შესაძლებლობა, აირჩიოთ სასურველი ადგილები მატარებელში.

ბილეთები იყიდება ასევე ვებგვერდებზე Railway.ge; tkt8ge9Biletebi8ge9 matarebeli8ge; სწრაფი გადახდის აპარატებსა და საბილეთო სალაროებში.

## განახლებული მოწამეთა

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მოწამეთას მონასტერთან, კულტურული მემკვიდრეობის და ტურისტული ზონების კეთილმოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.**

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს და მისი ღირებულება დაახლოებით 1. 4 მილიონი ლარია. სამუშაოები ითვალისწინებს გალავნის კედლების გამაგრებას. ასევე, ვიზიტორთა ცენტრის, ავტოსადგომის, საკომუნიკაციო სისტემის და საპირფარეშოების მშენებლობა- რეაბილიტაციას.



პროექტის მიზანია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

◎ მედიცინა

## იღბლიანი შეცდომა

**ამჟამად უამრავ ადამიანს მკერდში კარდიოსტიმულატორი უყენია, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მის გამოგონებას კაცობრიობა ამერიკელ ინჟინერ ჯონ ჰოფსს უნდა უმადლოდეს.**

1941 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების დაკვეთით ჯონ ჰოფსი ჰიპოთერმიის გამოკვლევებს ატარებდა: იგი ადამიანის სწრაფად გათბობის ხერხს ეძებდა, რომელმაც დიდი ხანი ყინვაში, ანდა ცივ წყალში გაატარა. სხვადასხვა მეთოდის გამოცდისას, იგი ასევე მაღალსიხშირიან რადიოგამოსხივებით ექსპერიმენტირებდა. გამოკვლევათა შედეგად დადგინდა, რომ **ელექტრულ იმპულსებს შეუძლიათ კვლავ „ჩართონ“ სიცივის მიზეზით გაჩერებული გული.**



სწორედ ჯონ ჰოფსის გამოგონების საფუძველზე შეიქმნა კარდიოსტიმულატორი, თუმცა თავდაპირველად ის ზედმეტად დიდი იყო და პაციენტს კანსაც უწვავდა, თუმცა შემდგომ, ამ ხელსაწყოს დახვეწას ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი: 1956 წელს ამერიკელი ინჟინერი **უილსონ გრეით ბათჩი** გულის რიტმების ჩამწერ ხელსაწყოს ამუშავებდა. მთელი რიგი წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ ინჟინერმა ელექტრულ ჯაჭვში შეცდომით სხვა რეზისტორი დააყენა. შედეგად, იმის მაგივრად, რომ სიგნალი ჩაეწერა, ხელსაწყომ ადამიანის გულისძგერის გამმეორებელი იმპულსების გამოცემა დაიწყო. მაშინ გამომგონებელი მიხვდა, რომ ასეთ ელექტროსტიმულაციას შეეძლო შემცირებული გულისძგერის კომპენსირება.

**ნინო ალექსანდრია**

## ანაკლიაში ფესტივალზე საკაიფოდ და საქურდლად ჩავიდნენ

**სამართალდამცველებმა ანაკლიაში, ფესტივალ „ექოვეივსის“ (Echowaves) მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვადასხვა დანაშაულისთვის 16 პირი დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, პოლიციამ 13 პირი ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის, ხოლო სამი – ქურდობის ბრალდებით დააკავა.

სამართალდამცველებმა დაკავებულებისაგან დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამი დაკავებულისგან კი, ამოღებულია ნაქურდალი ნივთები.

## სახელმწიფო ქონების დამჭაცებლები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი დოკუმენტების დამზადება – გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, შვიდი პირი პასუხისგებაში მისცეს, მათგან ორი დააკავეს.**

დაკავებულთაგან, ერთი მცხეთის მუნიციპალიტეტის მოქმედი, ხოლო, მეორე ყოფილი თანამშრომელია.

ბრალდებულებმა, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით დაარეგისტრირეს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, 50 000 ლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი 4 700 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, ასევე, გაყალბებული დოკუმენტების მეშვეობით შეეცადნენ საჯარო რეესტრში, რეგისტრაციაში გატარებას ხსენებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული 4 690 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისა, რომლის ღირებულება 53 000 ლარს შეადგენს.

დღეისათვის, მიწის ნაკვეთი დაყადაღებულია, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

## ოდიშში მოქალაქეს 770 ლარი გასტაცეს!

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით ორი პირი – ნ.გ. და დ.გ. დააკავეს.**

ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, ზუგდიდის რაიონ სოფელ ოდიშში, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოქალაქე დაეყაჩაღეს, 770 ლარი გასტაცეს და ადგილიდან მიიმალნენ.

უწყების ცნობით, პოლიციამ ორივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავა.

## გურიაში საქონლის მოპარვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მსხვილფეხა პირუტყვის ჯგუფურად ქურდობის ფაქტებზე ორი პირი – 1976 წელს დაბადებული კ.მ. და 1981 წელს დაბადებული ვ.თ. დააკავეს. შსს-ს ცნობით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა გურიაში მოქალაქეების კუთვნილი ოთხი ძროხა მოიპარეს და გაყიდეს“, – აცხადებენ შსს-ში.

უწყების ცნობით, გამოძიება ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 30 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9399; ევრო - 3.2692;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5993;
100 რუბლი - 4.4462; თურქული ლირა - 0.5049;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7293;
1000 სომხური დრამი - 6.1828.

**ამინდი 28 აგვისტოსთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +30 |
| **თბილისი:** | ღამე | +20, | დღე | +34 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge